F133
1960

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 1960 წ.

F-2401

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების შესახებ.
2. სკოლებში ისტორიის სწავლებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.
3. „გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“ სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე.
4. იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

5. საბავშვო ბაგების-ბაღების ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ.
6. გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ.

7. სიკვდილის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში სოფლის დასახლებული პუნქტების სახანძრო რაზმების წევრთათვის ერთდროული დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ.
8. „სამსახურში შემთავსებლობის შეზღუდვის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების შესრულების ზომების შესახებ.
9. „სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დამატებით გადაეცათ გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 აგვისტოს № 663 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
11. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავართბილმშენის სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების პირობებში დამატებათა შეტანის შესახებ.
12. დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ.
13. კონცერტების, საესტრადო წარმოდგენების და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების ბილეთების ღირებულების დამტკიცების წესის შესახებ.
14. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
15. საქართველოს სს რესპუბლიკაში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

**1** **საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 ოქტომბრის № 1223 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში საკოლმეურნეო მექანიზატორთა კადრების შენახვის ხარჯებს, 1960 წლიდან დაწყებული, გაიღებენ ის კოლმეურნეობები, რომელთათვისაც წარმოებს ამ კადრების მომზადება. ამ მიზნით კოლმეურნეობები გაითვალისწინებენ თავიანთი საწარმოო-საფინანსო-გეგმებით სახსრებს მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის — კვებისა და სტიპენდიისათვის — მოქმედი ნორმების მიხედვით, აგრეთვე სპეცტანსაცმლისათვის (ტანსაცმლის ნაცვლად).

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს შეიმუშაონ და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინონ წინადადებანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების საწარმოო საქმიანობის შემოსავლიანობის ამაღლებისა და 1961 წლიდან მათი თვითანაზღაურებაზე გადაყვანის შესახებ. მანამ, ვიდრე მოხდებოდეს სოფლის მექანიზაციის სასწავლებლების გადაყვანა თვითანაზღაურებაზე, მათი შენახვისა და სასწავლო-სამეურნეო საჭიროებათა ხარჯები გაწეული იქნება სახელმწიფოს ანგარიშზე.

3. მექანიზატორთა კადრების მომზადება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში საბჭოთა მეურნეობებისათვის მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გაითვალისწინონ ეს სახსრები შესაბამისი საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-ბულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს [illegible] სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების მოსწავლეებს ფორმის ტანსაცმლის ნაცვლად სპეცტანსაცმელი დანართში აღნიშნული ტაბელის თანახმად.

5. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების მოსწავლეები, 1960 წლის მიღებიდან დაწყებული, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს, რაც წელიწადში ტარდება არა ნაკლებ 4 თვისა, მიიღებენ საზღაურს მოცემულ მეურნეობაში მოქმედი ნორმებისა და შეფასებათა მიხედვით აღნიშნული ორგანიზაციების ხარჯზე. ამ პერიოდში მოსწავლეებს არ ეძლევათ უფასო კვება და არ მიეცემათ სტიპენდია.

6. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღება მოხდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საგზურებით სასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად, აგრეთვე შეგროვების წესი იმ შემთხვევებში, როდესაც სასწავლებლებში კურსდამთავრებული პირები გაიგზავნებიან ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებში და რუსეთის სფსრ ყამირი მიწების რაიონებში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადის შესაბამისად, მოამზადოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში 1.200 მექანიზატორის მომზადების 1960 წლის გეგმის ანგარიშში, კოლმეურნეობათა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასთან და ელექტროფიკაციასთან ყოველმხრივ გაცნობილი 500 კაცი, მათ შორის 400 ტრაქტორისტი და 100 ელექტრომონტიორი;

ბ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მომზადებულ იქნას სახალხო მეურნეობის სხვა დარგების (მშენებლობა, მრეწველობა, ტრანსპორტი) საჭიროებისათვის მასობრივი პროფესიების მუშები 700 კაცის რაოდენობით.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 500 მექანიზატორის მომზადების საერთო გეგმის ანგარიშში მიიღოს 1960 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 მექანიზატორის მატერიალური უზრუნველყოფის ხარჯები, რომლებიც მომზადებულ უნდა იქნან ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 იანვარი, № 17

საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1960 წლის
5 იანვრის № 17 დადგენილების
**დანართი**

## ცხრილი

### სპეცტანსაცმლისა, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების მოსწავლეებს ეძლევათ ფორმის ტანსაცმლის ნაცვლად

| სპეცტანსაცმელი | ზომის ერთეული | ნორმა | ტარების ვადა |
|---|---|---|---|
| კომბინეზონი ბამბის ქსოვილისა . | ცალი | 1 | 1 წელი |
| ყირზის ჩექმები . . . . . . | წყვილი | 1 | „ |
| ბამბის ქსოვილის კურტაკი დაბამბული. | ცალი | 1 | „ |
| შარვალი დაბამბული . . . . | „ | 1 | „ |
| მაუდის ქუდი წინაფრიანი . . . | „ | 1 | „ |
| საბუხარი კომბინირებული . . . | წყვილი | 2 | „ |
| გიმნასტურა ბამბის ქსოვილისა . . | ცალი | 1 | „ |
| შარვალი ან კაბა ბამბის ქსოვილისა . | „ | 1 | „ |

## 2 სკოლებში ისტორიის სწავლებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

„სკოლებში ისტორიის სწავლებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 ოქტომბრის № 1162 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დადგენილ იქნას საქართველოს სსრ სკოლებში ისტორიის სწავლების შემდეგი წესი:

IV კლასში — ეპიზოდური მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან;

V კლასში — ძველი მსოფლიოს ისტორიის ელემენტარული კურსი;

VI კლასში — შუა საუკუნეების ისტორიის ელემენტარული კურსი;

VII—VIII კლასებში—სსრ კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსი უმნიშვნელოვანესი ცნობებით საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ, აგრეთვე ცნობებით უცხოეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიიდან და საქართველოს ისტორიიდან;

IX—XI კლასებში — სსრ კავშირის ისტორიის სისტემატური კურსი და უცხოეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის სისტემატური კურსი;

X—XI კლასებში — საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსი.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ცნობებით საბჭოთა სამართლის სამოქალაქო, სისხლის სამართლის, შრომისა და ზოგიერთი სხვა დარგებიდან და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძირითადი დებულებებით შესწავლილ იქნას საშუალო სკოლის XI კლასში.

2. საშუალო სკოლაში ისტორიის კურსმა ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ მათთვის მისაწვდომი ფორმით საზოგადოების განვითარების ისტორიის კანონზომიერებათა მეცნიერული გაგება, ჩამოუყალიბდეს მოსწავლეებს რწმენა კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობისადმი, თანმიმდევრულად გამოვლინდეს როლი ხალხის მასებისა,

როგორც ისტორიის ნამდვილი შემოქმედისა, მატერიალური და სულიერ ფასეულობათა შემქმნელებისა, და პიროვნების მნიშვნელობა ისტორიაში.

ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის საკითხების შესწავლას, კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლის გამოვლინებას.

საქართველოს ისტორიის შესწავლა სსრ კავშირის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა აღზრდას პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

სკოლაში ისტორიისა და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება მოწოდებულია აღზარდოს ახალგაზრდობა კომუნისტური იდეურობისა და მორალის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, სოციალისტური პატრიოტიზმის, შრომისადმი ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მომზადებას აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

3. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან სკოლები ახალი სახელმძღვანელოებით, დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კონკურსების წესით მოამზადოს 1961 წლის 1 მარტამდე გამოსაცემად საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები, დაწერილი მაღალმეცნიერულ და პედაგოგიურ დონეზე და მოსწავლეებისათვის მისაწვდომი ენით.

დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამოსცეს აღნიშნული სახელმძღვანელოები 1961 წლის 1 ივნისამდე.

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს, ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ისტორიის კათედრას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენაში, აგრეთვე სახელმძღვანელოების იმ ხელნაწერთა მეცნიერულ შემოწმებასა და განხილვაში, რომლებიც ავტორთა კოლექტივებმა წარუდგინეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) 1960 წლის 25 იანვრამდე შეიმუშაოს საქართველოს ისტორიის და სსრ კავშირის კონსტიტუციის სასწავლო პროგრამები ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის;

ბ) 3—5 წლის განმავლობაში მოამზადოს გამოსაცემად ისტორიის კლასგარეშე საკითხავი ქრესტომათიები და წიგნები საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის, აგრეთვე მეთოდური სახელმძღვანელოები მასწავლებლებისათვის; მიიღოს ზომები სსრ კავშირის ისტორიისა და კონსტიტუციის დარგში ისტორიული რუკების, სურათებისა და სხვა თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოშვების გადიდებისათვის, გააფართოოს სასწავლო კინოფილმების გამოშვება სასკოლო ისტორიული კურსის შესაბამისად.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიის მასწავლებელთა კადრების მომზადების მოწესრიგებას ამ კადრებზე სკოლების მოთხოვნილების შესაბამისად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ უახლოეს დროში ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლებში ისტორიის სწავლებისათვის დაშვებულ იქნან მხოლოდ უმაღლესი ისტორიული განათლების მქონე პირები.

7. დაევალოთ საქართველოს კპ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ კონტროლი სკოლაში სსრ კავშირის ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლების ხარისხისადმი, სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ ისტორიის მასწავლებლებს მათი თეორიული ცოდნის ამაღლებაში, აგრეთვე მიიღონ ზომები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 იანვარი, № 19

**3** „გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“ სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე

„გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 11 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 იანვრის № 78 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ და მუხ. 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 3 მარტის № 159 დადგენილებისა „ფულის ბრუნვის მდგომარეობისა, საჭირო სასაქონლო ფონდებით საქონელბრუნვის უზრუნველყოფისა და ხელფასის ფონდების გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 2 თებერვალი, № 66

**4 იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად**

„იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა, ზემდეგთა და ოფიცერთა შრომითი მოწყობა არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა იმ დღიდან, რაც ისინი საცხოვრებელ ადგილებზე მივლენ, მათი სპეციალობისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით.

დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობა განახორციელონ უპირატესობრივად მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში;

ბ) უზრუნველყონ თადარიგში დათხოვნილი ან სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრები და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები საცხოვრებელი ფართობით (მისი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) პირველ რიგში, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვის ვადისა იმ დღიდან, რაც ისინი მივლენ საცხოვრებელ ადგილზე, რომელიც არჩეულია გაწერის არსებული წესის გათვალისწინებით.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრო-

მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმას-
ბიბლიოთეკა
კომებს:

ა) უფრო აქტიური გახადონ მუშაობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 სექტემბრის № 2508 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისიებისა, რომელთაც ეკისრებათ თადარიგში დათხოვნილი ან სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრების შრომითი და საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობა, ხოლო იქ, სადაც ეს კომისიები არ არსებობენ, შექმნან ისინი. ამ კომისიების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს;

ბ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ თადარიგში დათხოვნილ ან სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში ოფიცერთა სახსრებით, ამასთან წაახალისონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოფელ ადგილებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს:

მიიღოს არსებულ სასწავლებლებში სასწავლებლად თადარიგში დათხოვნილი ოფიცრები, რომლებიც პროფესიის შეძენას საჭიროებენ. საშუალო განათლების მქონე პირთათვის სწავლება მოაწყოს ტექნიკურ სასწავლებლებში, ხოლო იმ პირთათვის, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ, — სამშენებლო სასწავლებლებსა და სამთო-სამრეწველო სკოლებში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უზრუნველყოს თადარიგში დათხოვნილ ან სამსახურიდან გადამდგარ ოფიცერთა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა შვილების დაუბრკოლებლივ მიღება დაწყებითს და საშუალო სკოლებში, საცხოვრებელ ადგილზე მათი მისვლის შემდეგ.

5. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაწერონ მუდმივ საცხოვრებლად თადარიგში დათხოვნილი ან სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრები, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში. დაუბრკოლებლივ გაწერონ აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი ან სამსახურიდან გადამდგარი ოფიცრები, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, სანიტარული ნორმის მიუხედავად, იმ საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც უკავიათ სამხედრო მოსამსახურის მშობლებს, ან მის ცოლს, ან სამხედრო მოსამსახურის შვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ ოფიცერთა შრომითი მოწყობისა და საბინაო უზრუნველყოფის საქალაქო და რაიონული კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან კოორდინაციისათვის შეიქმნას რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ფ. დ. დუმბაძე (თავმჯდომარე), მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. გ. სანაკოევი, ა. კ. ჩხარტიშვილი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ბ. ღვინჯილია, დ. ა. ივაშჩენკო, შ. ა. ვასაძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 თებერვალი, № 100

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**5** **საბავშვო ბაგების-ბაღების ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სამინისტროებისა და უწყებების საბავშვო ბაგების-ბაღების ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატები, დანართის თანახმად.

საბავშვო ბაგების-ბაღების შტატებს დააწესებენ კუთვნილებისამებრ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები აღნიშნული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

2. დაწესდეს, რომ იმ საბავშვო ბაგების-ბაღების შტატებს, რომელთა მიმართ მუშაობის პირობებისა და მოცულობის მიხედვით არ

მუზ. 5

შეიძლება გამოყენებულ იქნას ეს ტიპობრივი შტატები, დაამტკი-ცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ინდივიდუალური წესით.

3. საბავშვო ბაგების-ბაღების ამ დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი შტატები შემოღებულ იქნას 1960 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 იანვარი, № 8

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 8 იანვრის № 3
დადგენილების დანართი

# ტიპობრივი შტატები

## საბავშვო ბაგების-ბაღების ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახური პერსონალისა

| თანამდებობათა დასახელება | საშტატო ერთეულების რაოდენობა ჯგუფების რაოდენობის მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 ჯგუფი | 3 ჯგუფი | 4 ჯგუფი | 5 ჯგუფი | 6 ჯგუფი | 7 ჯგუფი | 8 ჯგუფი | 9 ჯგუფი |
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალი** | | | | | | | | |
| გამგე | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| მეურნეობის გამგე | 0,5 | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ბუღალტერი | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| მოანგარიშე | 0,5 | 0,5 | — | — | — | — | — | 0,5 |
| მეთეთრეულე | — | 0,5 | 0,5 | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1 |
| სულ | 2 | 2,5 | 3,5 | 3,5 | 4 | 4 | 4 | 4,5 |
| **სამედიცინო და მომსახური პერსონალი** | | | | | | | | |
| ექიმი | 0,5 | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1,5 | 1,5 | 2 |
| უფროსი მედდა | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1,5 | 1,5 | 2 | 2 |
| ძიძა-დამლაგებელი | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| სულ | 3 | 4,5 | 6 | 7 | 8,5 | 10 | 11,5 | 13 |
| **სამზარეულოს პერსონალი** | | | | | | | | |
| მზარეული | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| მზარეულის თანაშემწე | 0,5 | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ჭურჭლის მრეცხავი | 0,5 | 0,5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| სამზარეულოს მუშა | — | — | — | — | 1 | 1 | 1 | 1 |
| სულ | 2 | 2 | 3 | 4 | 5 | 5 | 5 | 5 |
| მთლად | 7 | 9 | 12,5 | 14,5 | 17,5 | 19 | 20,5 | 22,5 |

შენიშვნა: 1. პედაგოგ-აღმზრდელის და მუსიკალური ხელმძღვანელის თანამდებობანი დაწესდება საშუალო და უფროსი საბაგო და მეტი ასაკის ბავშვთა ჯგუფების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 აპრილის № 216 დადგენილების შესაბამისად.

2. ბაგის ასაკის ბავშვთა მომსახურებისათვის პატრონაჟის დის თანამდებობა დაწესდება, როდესაც ბავშვთა რაოდენობა არის: 80-დან 100-მდე — 0,5 ერთეული, 101-დან 160-მდე—1 ერთეული და 160-ზე მეტი—1,5 ერთეული.

3. ბაგის ასაკის ბავშვთა ჯგუფებში მომსახურებისათვის საშუალო სამედიცინო პერსონალის ერთი პოსტი (მედიცინის დის) დაწესდება იმ ანგარიშით, რომ მომსახურება გაუწიოს 15 ძუძუმწოვარ, მხოხავ ბავშვს და სანატორიულ ჯგუფებში — საშუალო და უფროსი საბაგო ასაკის 20 ბავშვს.

4. მედიცინის დების თანამდებობათა რაოდენობა დაწესდება თვითეული ჯგუფის ხანგრძლივობის (დღისა, გახანგრძლივებული, სადღეღამისო, იზოლატორი) მიხედვით.

5. იზოლატორში მყოფ ბავშვთა მომსახურებისათვის მორიგე დების ცალკეული პოსტი დაწესდება ისეთ ბაგებში-ბაღში, რომლებსაც აქვთ 85 და მეტი ადგილი.

6. 3 წლის ასაკამდე ბავშვთა ჯგუფებში სამუშაოდ ძიძა-სანიტრის თანამდებობა დაწესდება თვითეულ ჯგუფში და იზოლატორში იმ ბავშვთა რიცხვის შესაბამისად, რომლებსაც მომსახურებას უწევს ერთი მედიცინის და.

7. სადღეღამისო სანატორიულ ჯგუფებსა და იზოლატორებში დღეღამის დროის ღამის პერიოდში საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე—უმცროსი სამედიცინო პერსონალის მორიგე პოსტი დაწესდება ერთი ორ ჯგუფზე.

უკეთუ ბაგებში-ბაღებში არის ერთი სადღეღამისო ან სანატორიული ჯგუფი ანდა იზოლატორი, ძიძის თანამდებობა შენარჩუნებული იქნება მთელი დღეღამის განმავლობაში.

8. 3 წლისაზე მეტი ასაკის ბავშვთა ცალკეული ჯგუფების 12-საათიან და სადღეღამისო მუშაობაზე გადაყვანის დროს შემოღებული იქნება დამატებით ძიძის თანამდებობა 25 კაცისაგან შემდგარ თვითეულ ჯგუფზე ნახევარი განაკვეთის ანგარიშით. გარდა ამისა, 3 წლისაზე მეტი ასაკის ბავშვთა ყველა ჯგუფის სადღეღამისო მუშაობის დროს შეიძლება შემოღებულ იქნას ღამის ორი მორიგი ძიძის თანამდებობა.

9. მეეზოვე-დარაჯის თანამდებობა შემოღებული იქნება საბავშვო ბაგებისბაღების შტატებში შემდეგი ანგარიშით: ერთი მეეზოვე-დარაჯი საბავშვო ბაგებზე-ბაღზე, სადაც ჯგუფების რაოდენობა ორზე მეტია. უკეთუ არის განცალკევებული სადგომი.

10. ისეთი საბავშვო ბაგების-ბაღების შტატებში, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი გათბობა (ორთქლის, წყლის, გაზის) ან ღუმელის გათბობა, თუ არის სულ ცოტა 10 ღუმელი, დაწესდება თბობის სეზონისათვის ცეცხლფარეშის ან მეცეცხლურის თანამდებობა.

ისეთი საბავშვო ბაღების შტატებში, სადაც მუშაობა მთელი დღეღამის განმავლობაში წარმოებს, დაწესდება ცეცხლფარეშის ან მეცეცხლურის ორი თანამდებობა.

11. საბავშვო ბაგებში-ბაღებში, სადაც 200-ზე მეტი ბავშვია,—ყოველ 50 ბავშვზე (200-ზე ზევით) დამატებით დაწესდება მზარეულის დამხმარის ერთი თანამდებობა.

12. მრეცხავის ერთი თანამდებობა—ბაგის ასაკის 25—40 ბავშვზე.

13. მეჯინიბის—მზიდავის ერთი თანამდებობა—ყოველ მუშა-ცხენზე.

14. ელექტრომონტიორების, ზეინკლებისა და მუშების თანამდებობანი დაწესდება სამინისტროებისა და უწყებების საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში.

15. საბავშვო ბაგების-ბაღების მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ:

ა) საბავშვო ბაგების-ბაღების გამგეებს; აღმზრდელებსა და მუსიკალურ მუშაკებს—სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 3 ივნისის № 1270 დადგენილების შესაბამისად;

ბ) მედიცინის მუშაკებს—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12 აგვისტოს № 1455 დადგენილების შესაბამისად;

გ) საბავშვო ბაგების-ბაღების დანარჩენ მუშაკებს—საფინანსო ორგანოებში რეგისტრირებული მოქმედი განაკვეთების დონეზე.

16. ჯგუფების დატვირთულობა—ბაგის ასაკის 20 ბავშვი და საბავშვო ბაღის ასაკის 25 ბავშვი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. მირაქაძე.

## 6 გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილება „გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კვარტალური გეგმების და დამატებითი დავალებების ზევით გამომუშავებული და დამზადებული იმ პროდუქციის განაწილების პროექტი, რომე-

ლიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში რჩება
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-
ტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილე-
ბის შესაბამისად.

განაწილების წარმოდგენილი პროექტებით გაითვალისწინოს,
რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოეყოს სა-
ქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მიერ
გამომუშავებული პროდუქცია ისეთი მოცულობით, რაც არ უნდა
იყოს იმ პროდუქციის რაოდენობის 50 პროცენტზე ნაკლები, რო-
მელიც რჩება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულე-
ბაში, აგრეთვე გაითვალისწინოს, რომ გამოეყოთ პროდუქცია ავ-
ტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქსა და საქალაქო (რაი-
ონულ) აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ის
საწარმოები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები, გარ-
და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლისა.

F-2401

3. დაწესდეს, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა
საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს,
მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღ-
მასკომებს შეუძლიათ დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში და გა-
მოიყენონ მშენებლობის საჭიროებისათვის ადგილობრივი და რაი-
ონული მრეწველობის საწარმოების მიერ კვარტალური გეგმებისა
და დამატებითი დავალებების გადამეტებით გამომუშავებული აგუ-
რის, კრამიტის, კირისა და გაჯის მთელი რაოდენობა, რომლიდანაც
სულ ცოტა 50 პროცენტი უნდა მიეყიდოს კოლმეურნეობებს, კოლ-
მეურნეებს და მოსახლეობას ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციე-
ბის მეშვეობით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილების მე-2 მუხლის
ქვეპუნქტები „ა“, „ბ“, „გ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
ჭოს 1958 წლის 22 აპრილის № 277 დადგენილების მე-6 მუხლი და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 აპრილის
№ 277 დადგენილების მე-4 მუხლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირ[illegible].**

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 იანვარი, № 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 1326

**1959 წლის 10 დეკემბერი**

**მოსკოვი, კრემლი**

### გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ

დაწესებული გეგმების გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების ერთიანი წესის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში და გამოიყენონ რესპუბლიკის საჭიროებისათვის კვარტალური გეგმების და დამატებითი დავალებების გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქცია, რომლის განაწილება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ბალანსებითა და გეგმებით, დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

აღნიშნული პროდუქცია რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში იმ პირობით, თუ მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა ამ პროდუქციის დაწესებული ასორტიმენტის წარმოებისა და დამზადების გეგმები და დამატებითი დავალებანი წლის დამდეგიდან, შესრულებულ იქნა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმები, აგრეთვე იმ პირობით, თუ შესრულებულ იქნა პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და მიწოდების დავალებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებით; გარდა ამისა, სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონე-

ლი რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარ-
გულებაში იმ პირობით, თუ შესრულებულია საქონლის [illegible]
ბის დავალებანი ფასობრივი გამოხატულებით. მოკავშირე რესპუბ-
ლიკების მინისტრთა საბჭოები დააწესებენ სახალხო მეურნეობის
საბჭოების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და
მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განკარგულება-
ში ზეგეგმითი პროდუქციის ანარიცხის ოდენობას.

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბ-ჭოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და მშრომელთა დეპუტა-ტების საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში დარჩენილი საწარ-მოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია პირველ რიგში გამო-ყენებულ უნდა იქნას კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისა და დეფიციტური პროდუქციის გეგმის ზევით წარმოებისათვის, ხოლო საბაზრო დანიშნულების პროდუქცია—მოსახლეობისათვის მისა-ყიდად.

ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბ-ჭოებს სამრეწველო საწარმოების ან საამქროების (აგრეგატების) საექსპლუატაციოდ ვადამდე გადაცემის დროს გამოიყენონ რესპუბ-ლიკის საჭიროებისათვის მთელი პროდუქცია, რომელიც დამზადებუ-ლია ამ საწარმოებში ან საამქროებში (აგრეგატებში) მათი საექსპ-ლუატაციოდ გადაცემის სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაწესებუ-ლი ვადის დადგომამდე მუშაობის დროისათვის.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 4 სსრ კავშირის მინისტრ-თა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებისა, აგრეთვე მუხლები 10 და 11 ამ დადგენილების პირველი დანართისა, მუხ. 21 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის № 931 დადგენილებისა, მუხ. 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა, მუხ. 91 დებულებისა ეკონო-მიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბ-ჭოს 1957 წლის 26 სექტემბრის № 1150 დადგენილებით, მუხ. 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 3 აპრილის № 363 დადგე-ნილებისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალუ-რი კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 იანვრის № 24 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „გ“, და

ქვეპუნქტი „ე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის [illegible] მარტის № 274 დადგენილების 1 მუხლისა და სსრ კავშირის მინის-ტრთა საბჭოს 1959 წლის 29 სექტემბრის № 1135 დადგენილების 48-ე მუხლის მეორე აბზაცი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბ-ჭოს 1955 წლის 29 ივლისის № 5671 განკარგულება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 23 ნოემბრის № 6872 განკარგულება.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილების დანართი

## ს ი ა

## პროდუქციისა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში რჩება გეგმებისა და დამატებითი დავალებების გადაჭარბებით შესრულების დროს

| პროდუქციის დასახელება | იმ ზეგეგმითი პროდუქციის რაოდენობა, რომელიც რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში (პროცენტობით) |
|---|---|
| მილები სხვადასხვა, საკაბელო პროდუქცია, ავტომობილის სალ-ტეები . . . . . . . . . . . . . | 25 |
| თუჯი, ფეროშენადნობი, შავი ლითონების ნაგლინი (გარდა ფურც-ლოვანი, კონსტრუქციული და უჟანგავი ფოლადისა), მილები თუ-ჯისა, ასბოცემენტისა და კერამიკული, შავი ლითონების ჯართი, ლითონის ნაკეთობანი, ცეცხლგამძლე მასალები, კოქსქიმიური პრო-დუქცია, სატყეო-ქიმიური პროდუქცია, სამასალე მერქანი, ხისდამ-მუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, ცელულოზა-ქაღალდის პროდუქცია, საშენი მასალები, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობი-ლობა, ნავთობბიტუმი, ქიმიკატები და რეზინა-ტექნიკური ნაკეთო-ბანი (გარდა კაუჩუკისა, ავტომობილის სალტეებისა, კაუსტიკური და კალცინირებული სოდისა), ბრეზენტი . . . . | 50 |
| მაგარი სათბობი (გარდა დონეცის ხარისხოვანი და რიგითი ანტრა-ციტისა და მსუქანი ქვანახშირისა, კუზნეცკის, პეჩორის, კიზელო-ვოს, ლვოვ-ვოლინის, ყარაგანდის და უზბეკეთის ქვანახშირისა), ქსოვილები გარდა (ბრეზენტისა), ტანსაცმელი, ტრიკოტაჟის ნა- | |

| პროდუქციის დასახელება | იმ ზეგეგმითი პროდუქციის რაოდენობა, რომელიც რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში (პროცენტულად) |
|---|---|
| ქეთობანი, ტყავის, რეზინის და თექის ფეხსაცმელი, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხალიჩები, ბეწვეული და ბეწვეულის ნაკეთობანი, ქურქ-ბეწვეულის ნაკეთობანი, საპონი, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი და მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სხვა ნაკეთობანი, მოტოციკლები, მოტოროლერები, ველოსიპედები, საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები, ტელევიზორები, რადიომიმღებები, ფოტოაპარატები, მაგნიტოფონები, პატეფონები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, იატაკსაწმენდები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სხვა საოჯახო საქონელი, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმი, მარგარინი, ჩაი, არაყი, ღვინო-არყის ნაწარმი, ლუდი, ყველა სახის კონსერვი, თევზი, ქაშაყი, თამბაქოს ნაწარმი და კვებისა და თევზის მრეწველობის სხვა პროდუქცია (გარდა შაქრისა, ფქვილისა, ბურღულისა, სპირტისა, მცენარეულის ზეთისა და მაკარონისა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატებისა) . | 100 |

შენიშვნა: გეგმის გადამეტებით გამომუშავებულ მთელ პროდუქციას, რომელიც არ არის ჩამოთვლილი ამ სიაში, მაგრამ შეტანილია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების მთავარი სამართველოების ნომენკლატურაში, გაანაწილებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

## 7 სიკვდილის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში სოფლის დასახლებული პუნქტების სახანძრო რაზმების წევრთათვის ერთდროული დახმარების დანიშვნისა და მიცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1960 წლის 1 იანვრიდან სიკვდილის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში სოფლის დასახლებული პუნქტების ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრთათვის ერთდროული დახმარების დანიშვნისა და მიცემის

ეროვნული

წესი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 იანვარი, № 26

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 8 იანვრის № 26
დადგენილების დანართი

## წ ე ს ი

### სიკვდილის ან შრომისუნარის დაკარგვის შემთხვევებში სოფლის დასახლებული პუნქტების სახანძრო რაზმების წევრთათვის ერთდროული დახმარების დანიშვნისა და მიცემისა

### 1. რა შემთხვევაში და რა რაოდენობით გაიცემა ერთდროული დახმარება

1. ერთდროული დახმარება გაიცემა იმ შემთხვევებში, თუ გარდაიცვალა ან შრომის უნარი მუდმივად დაკარგა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრმა უბედური შემთხვევის შედეგად თავისი მოვალეობის შესრულების დროს: როდესაც იგი მიდიოდა ხანძარზე და უკან ბრუნდებოდა, როდესაც მუშაობდა ხანძრის ჩაქრობაზე, აგრეთვე ეწეოდა პრაქტიკულ მეცადინეობას.

2. უბედურ შემთხვევად ითვლება ყოველი უეცარი მოვლენა, რაც შეემთხვა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრს მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების დროს, რამაც გამოიწვია სიკვდილი ან შრომის უნარის მუდმივი დაკარგვა (ინვალიდობა), როგორც მაგალითად: სიკვდილი ან დასახიჩრება რაიმე საგნის დაცემისაგან ან თვით რაზმის წევრის ჩამოვარდნისაგან, ელექტროდენის დარტყმისა-

მუხ. 7
ბიბლიოთეკა

გან, დამწვრობისაგან, მოყინვისაგან, მავნე ნივთიერებებით, და გა-ზებით უეცარი მოწამვლისაგან და ა. შ.

უბედურ შემთხვევებს მიეკუთვნება აგრეთვე ნერვული და ფსიქიური დაავადებანი, რომლებიც ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრებს მოუვიდათ შიშისაგან თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს.

ზოგადი დაავადებისაგან სიკვდილის ან შრომის უნარის მუდმივი დაკარგვისათვის ერთდროული დახმარება არ გაიცემა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრი გარდაიცვალა უბედური შემთხვევისაგან, გარდაცვალებულის ოჯახს მიეცემა ერთდროული დახმარება 3.000 მანეთის ოდენობით.

4. უკეთუ ადგილი ექნა შრომის უნარის მუდმივ დაკარგვას უბედური შემთხვევისაგან, ერთდროული დახმარება მიეცემა თვით დაზარალებულს—ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრს შემდეგი ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | როდესაც შრომისუნარი დაკარგულია | 20-დან 30%-მდე | — 500 მან. |
| ბ) | " | 31-დან 40%-მდე | — 700 " |
| გ) | " | 41-დან 50%-მდე | — 900 " |
| დ) | " | 51-დან 60%-მდე | —1100 " |
| ე) | " | 61-დან 70%-მდე | —1300 " |
| ვ) | " | 71-დან 80%-მდე | —1500 " |
| ზ) | " | 81-დან 90%-მდე | —1700 " |
| თ) | " | 91-დან და მეტი | —2000 " |

შრომის უნარის მუდმივი დაკარგვისათვის 20%-ზე ნაკლები რაოდენობით, აგრეთვე შრომის უნარის დროებით სრული ან ნაწილობრივი დაკარგვისათვის ერთდროული დახმარება არ გაიცემა.

### II. ერთდროული დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი

5. დახმარება დაინიშნება რაიფინგანის ან ქალაქფინგანის (სასოფლო საბჭოების მქონე ქალაქების) წარდგენით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

6. ერთდროული დახმარების მისაღებად იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ჰქონდა სოფლის დასახლებული პუნქტების ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების წევრების სიკვდილს ან შრომის უნარის მუდმივ დაკარგვას უბედური შემთხვევებისაგან, საფინანსო განყოფილებას უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

ა) სასოფლო საბჭოს ცნობა იმის შესახებ, რომ გარდაცვალებული ან დაზარალებული იყო ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრი;

ბ) აქტის ან ოქმის დამოწმებული ასლი, რომელიც ადასტურებს, რომ უბედური შემთხვევა ნამდვილად მოუვიდა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრს ხანძარზე წასვლის ან უკან დაბრუნების დროს, ხანძრის ჩაქრობის ან პრაქტიკული მეცადინეობის დროს. სიკვდილის მიზეზი აღნიშნულ უნდა იქნას ან მმაჩის მოწმობაში ან ექიმის ოფიციალურ ცნობაში;

გ) სასოფლო საბჭოს ცნობა გარდაცვალებულის ოჯახის შემადგენლობის შესახებ;

დ) შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის დროს—საექიმო ექსპერტიზის ბიუროს ცნობა შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის პროცენტის შესახებ.

7. საფინანსო განყოფილებაში წარდგენილი საბუთების გამო დასკვნას იძლევა უფროსი სადაზღვევო ინსპექტორი საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

8. თუ უბედური შემთხვევისთანავე შეუძლებელია შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის პროცენტის დადგენა, მაშინ დაზარალებულის სურვილით მას მიეცემა დახმარება შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის საექიმო ექსპერტიზის მიერ ნავარაუდევი მინიმალური პროცენტის მიხედვით.

შრომის უნარის დაკარგვის საბოლოო პროცენტი დადგენილი იქნება მკურნალობის დამთავრებისთანავე. თუ მკურნალობა არ იქნა დამთავრებული უბედური შემთხვევის დღიდან წლის დამლევისათვის, მაშინ მკურნალობის განგრძობის მიუხედავად, დაზარალებულის შემოწმება და დახმარების მიცემა მოხდება უბედური შემთხვევის დღიდან წლის გასვლის შემდეგ, შემოწმების მომენტისათვის შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის პროცენტის საფუძველზე.

შრომის უნარის მუდმივი დაკარგვის პროცენტის საბოლოო დადგენის შემდეგ, მისაცემი დახმარებიდან დაექვითება წინათ მიცემული თანხა.

უკეთუ უბედური შემთხვევის დღიდან წლის განმავლობაში, როგორც ამ შემთხვევის პირდაპირი შედეგი, გარდაიცვალა ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის დაზარალებული წევრი, გარდაცვალებულის ოჯახის წევრებს მიეცემათ განსხვავება გარდაცვალების შემთხვევაში კუთვნილი დახმარების თანხასა (3.000 მანეთი) და ინვალიდობისათვის წინათ მიცემულ თანხას შორის, ხოლო თუ შრომის უნარის დაკარგვისათვის დახმარება გაცემული არ ყოფილა,— მიეცემა დახმარების სრული თანხა 3.000 მანეთის ოდენობით.

9. ერთდროული დახმარების მიცემის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ შედგება, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ან სასოფლო საბჭოების მქონე საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით, დავალება სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების სახელზე.

დავალებაში აღნიშნულ უნდა იქნას:

ა) მიმღების გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) მიმღების ზუსტი მისამართი;

გ) მისაცემი დახმარების თანხა.

### III. გასაჩივრების წესი

10. საჩივრები ერთდროული დახმარების არასწორად გაცემის ან მის მიცემაზე უარის თქმის შესახებ გაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების და საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების იმ საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებსაც სასოფლო საბჭოები აქვთ, ავტონომიური სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. მოთხოვნა ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ წარდგენილ უნდა იქნას უბედური შემთხვევის დღიდან არა უგვიანეს ორი წლისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი პრეტენზიები დაკმაყოფილებული არ იქნება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

## 8 „სამსახურში შეთავსებლობის შეზღუდვის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების შესრულების ზომების შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილება „სამსახურში შეთავსებლობის შეზღუდვის შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც დაევალოთ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დადგენილების შესრულებისათვის, კერძოდ დაუყოვნებლივ გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამსახურში შეთავსებლობის მკვეთრად შეზღუდვას იმ ანგარიშით, რომ 1960 წლის დამლევისათვის სავსებით იქნას ლიკვიდირებული შტატიანი შემთავსებლობა.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები.

უწყებრივი შემოწმების (რევიზიების) ჩატარების დროს სისტემატურად შეამოწმონ სამსახურში შემთავსებლობის წესის დაცვის მდგომარეობა და მიიღონ ზომები ამ საქმეში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს პერიოდულად შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილებას და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც დაარღვევენ სამსახურებრივი შემთავსებლობის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ წესს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 იანვარი, № 33.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება 1367

**1959 წლის 10 დეკემბერი**

**მოსკოვი, კრემლი**

### სამსახურში შეთავსებლობის შეზღუდვის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბევრ სამინისტროში, უწყებაში, დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში ფართო ხასიათი მიიღო სამსახურში შეთავსებლობამ, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს საქმეს.

შეთავსებლობა განსაკუთრებით მასობრივად გავრცელდა სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ბევრ მეცნიერ მუშაკს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს შეთავსებითი თანამდებობანი უკავიათ რამდენიმე ორგანიზაციასა და სასწავლებელში, რომლებიც ხშირად სხვადასხვა ქალაქებში მდებარეობენ. ცოტა როდია ისეთი მეცნიერები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ათობით სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობა. ასეთი სრულიად არანორმალური მდგომარეობა ხელს უშლის მეცნიერთა ნაყოფიერ საქმიანობას, აფერხებს ახალი ძალების მოზღვავებას, ახალგაზრდა კადრების ზრდასა და დაწინაურებას, უარყოფითს გავლენას ახდენს მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და სასწავლებლების საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არათუ იბრძვის ასეთი მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ, არამედ თვითონაც ეწევა შეთავსებლობას მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობასაც ისინი კონტროლს უნდა უწევდნენ.

წინათ, როდესაც ჩვენი ქვეყანა სპეციალისტების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, შეთავსებლობა ხშირად გამოწვეული იყო აუცილებლობით და მას თავისი გამართლება ჰქონდა. ამჟამად სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგს მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები ჰყავს და ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზები ფართო შეთავსებლობისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო

საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სამსახურებრივი შეთავსებლობის მკვეთრად შეზღუდვისათვის იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის დამლევისათვის სავსებით იქნას ლიკვიდირებული საშტატო შეთავსებლობა.

2. დაწესდეს, რომ სამსახურში შეთავსებლობა, ესე იგი იმავდროულად, ძირითადი თანამდებობის გარდა, სხვა ფასიანი თანამდებობის დაკავება დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში, აგრეთვე ძირითადი სამუშაოს გარდა სხვა რეგულარული ფასიანი სამუშაოს შესრულება, შეიძლება ნებადართულ იქნას როგორც დროებითი ზომა, გამონაკლისის წესით, მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია, იმ პირობით, თუ არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ თავისუფალი თანამდებობა დაიკავოს შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკმა, რომელიც არ არის დასაქმებული სხვა სამუშაოზე და თუ შეთავსებლობით სამუშაოზე საჭირო არ არის სამუშაო დღის სრული დატვირთვა.

შეთავსებლობა ნებადართულია მხოლოდ ერთ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში, ერთი ადგილის (ქალაქი, სასოფლო რაიონი) ფარგლებში.

3. შეთავსებით მუშაობა დაიშვება ორივე დაინტერესებული დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა წერილობითი ნებართვით, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნას ზემდგომ ორგანიზაციებთან ქვემდებარების მიხედვით და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო აღმასკომებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების აპარატის მუშაკთა შეთავსებლობა დაიშვება ამ ორგანოების ხელმძღვანელთა თანხმობით.

დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებმაც მიიღეს ესა თუ ის პირი შეთავსებლობით სამუშაოზე, აცნობებენ მისი ძირითადი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თუ რა თანამდებობაზე ჩაირიცხა იგი, როგორია მისი შრომის ანაზღაურების პირობები, აგრეთვე ყველა იმ ცვლილებებს, რაც შემდგომ მის მუშაობაში მოხდება.

4. აიკრძალოს შეთავსებით მუშაობა ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულ, თანადაქვემდებარებულ ან საქვეკონტროლო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, გარდა სპეციალისტებისა

მასწავლებელთა რიცხვიდან, რომლებიც მუშაობენ განათლების სამინისტროების სისტემის რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებში, აგრეთვე ექიმებისა, რომლებიც მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში.

ეს დადგენილება არ აუქმებს შემთავსებლობის განსაკუთრებულ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი წესებით მუშაკთა ცალკეული კატეგორიებისათვის.

5. შეთავსებითი თანამდებობისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს იმ ხელფასის (განაკვეთის) მიხედვით, რაც დაწესებულია ამ თანამდებობისათვის, ფაქტიური დატვირთვის პროპორციულად, მაგრამ საზღაური არ უნდა აღემატებოდეს იმ სრული განაკვეთის ნახევარს, რომელიც დაწესებულია შეთავსებითი თანამდებობისათვის (სამუშაოსათვის).

როდესაც შემთავსებელი სანარდო სამუშაოს ასრულებს, საზღაური მიეცემა ფაქტიური გამომუშავების მიხედვით.

ხელფასის გაცემა ორი თანამდებობისათვის ერთსა და იმავე დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

აიკრძალოს დამატებითი გასამრჯელოს გაცემა იმ სამუშაოების შესრულებისათვის, რომლებიც შედის მოცემული მუშაკის სამსახურებრივ მოვალეობაში (პროექტების, მოხსენებების შედგენა, წარმომადგენლობა სხდომებზე და ა. შ).

იმ პირებს, რომელთაც ნებადართული აქვთ შემთავსებლობა სამუშაო დროს, არ მიეცემათ საზღაური ძირითად სამუშაო ადგილზე ნებადართული შემთავსებლობის საათებისათვის.

პრემიები, რომლებიც დადგენილია შრომის ანაზღაურების სისტემით შეთავსებითი სამუშაოსათვის, დაერიცხება შემთავსებლისათვის დაწესებული განაკვეთის ნაწილს და გაიცემა განაკვეთის ამ ნაწილის ზევით.

შვებულება შეთავსებითი თანამდებობის მიხედვით მიეცემა ძირითადი თანამდებობის შვებულებასთან ერთად. საზღაური შეთავსებითი სამუშაოსათვის ან კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის არ გაიცემა.

შეთავსებით მომუშავე პირები არ სარგებლობენ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მუშაკთათვის დაწესებული შეღავათებით.

6. გაუქმდეს შტატიანი შემთავსებლობა უმაღლეს სასწავლებლებში. უფლება მიენიჭოთ იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელ-

მძღვანელებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს განაგებენ, სხვა სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის პირებს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო წოდება ან ხარისხი, მხოლოდ შრომის საათობრივი ანაზღაურების პირობებში.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე დიდ სპეციალისტებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობისათვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, საზღაური მიეცემათ აგრეთვე საათობრივი განაკვეთების მიხედვით.

7. აეკრძალოთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ და ხელმძღვანელ მუშაკებს შეთავსებით მუშაობა შტატის თანამდებობებზე სხვა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითს განყოფილებებში (სექტორებში).

დაწესდეს, რომ სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მუშაობას (კათედრის, ლაბორატორიის, განყოფილების, სექტორის და სხვ. გამგეობას) შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ ერთ დაწესებულებაში.

8. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელი და სამეცნიერო-პედაგოგიური შემადგენლობის ხელფასი ძირითად და შეთავსებითს სამუშაოზე არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი თანამდებობის ერთნახევარ განაკვეთს.

9. ექიმებს (მათ შორის ვეტერინარ ექიმებს), საშუალო სამედიცინო და ვეტერინარულ პერსონალს შეიძლება ნება დაერთოს იმუშაონ შეთავსებით როგორც სხვადასხვა სამკურნალო-სანიტარულ და პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ისე ერთი დაწესებულების შიგნითაც, მაგრამ არა უმეტეს ორი თანამდებობისა ისე, რომ საზღაური მიეცეთ ფაქტიურად დახარჯული სამუშაო დროისათვის, ამასთან საერთო ხელფასი ძირითად და შეთავსებითს თანამდებობებზე არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი თანამდებობის ერთნახევარ განაკვეთს.

სამედიცინო და ვეტერინარული დაწესებულებების ექიმებს, რომლებსაც ადმინისტრაციული თანამდებობა უკავიათ, შემთავსებლობა შეუძლიათ მხოლოდ საექიმო და პედაგოგიურ სამუშაოზე.

10. სკოლების მასწავლებლებს და საშუალო სპეციალური და იმ სხვა სასწავლებლების მასწავლებლებს, რომლებიც გათანაბრებუ-

ლი არიან მათთან მუშაკთა შრომის ანაზღაურების მხრივ, შეიძლე-ბა ნება დაერთოს იმუშაონ, შეთავსებით ერთს ან რამდენიმე სას-წავლებელში, ამასთან საერთო ხელფასი ძირითადი და შეთავსებითი თანამდებობებისათვის არ უნდა აღემატებოდეს ამ მასწავლებლის ძირითადი თანამდებობის ერთნახევარ განაკვეთს მისი განათლებისა და სტაჟის შესაბამისად.

11. შეთავსებითი სამუშაოდან დათხოვნა წარმოებს, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ხდება არაშემთავსებელი მუშაკის მიღება ან შემთავსებლობის აკრძალვა ძირითად სამუშაო ადგილზე. დათხოვნა ხდება გაუფრთხილებლად და გამოსასვლელი დახმარების მიუცემლად.

12. შემთავსებლობად არ ითვლება:

ა) ლიტერატურული მუშაობა, კერძოდ მუშაობა ცალკეულ ნაწარმოებთა რედაქტირების, თარგმნისა და რეცენზირების დარგში, რომლის ანაზღაურება წარმოებს საავტორო ჰონორარის ფონდიდან;

ბ) სამედიცინო დაწესებულებათა კონსულტანტების მოვალეობის შესრულება მოცულობით არა უმეტეს 12 საათისა თვეში შრომის ერთჯერადი ანაზღაურებით;

გ) იმ პირის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელსაც ძირითადი თანამდებობის მიხედვით არა აქვს სრული სამუშაო დღე და ამის შესაბამისად იღებს არასრულ განაკვეთს, თუ მისი ხელფასი ძირითად და შეთავსებითს თანამდებობაზე არ აღემატება ძირითადი სამუშაო ადგილის სრულ განაკვეთს;

დ) ტექნიკური, სამედიცინო, საბუღალტრო და ყოველგვარი სხვა ექსპერტიზა ერთჯერადი ანაზღაურებით.

დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკის მიერ „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სამუშაოს შესრულება სამუშაო დროს არ დაიშვება, ხოლო „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სამუშაოების შესრულება სამუშაო დროს დაიშვება მოცემული დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

13. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს გაად-

ლიერონ კონტროლი სამსახურებრივი შემთავსებლობის დადგენი-ლი წესის დაცვისადმი და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ამ წესის დამრღვევი პირები.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს იმ დადგენილებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

**9 „სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დამატებით გადაეცათ გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 აგვისტოს № 663 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს მუხ. 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 აგვისტოს № 663 დადგენილებისა „სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დამატებით გადაეცათ გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 იანვარი, № 34

**10** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს დაეკისრა საგაზო მეურნეობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დაცვისადმი ზედამხედველობის ფუნქციები და მის შემადგენლობაში მოეწყო საგაზო ტექნიკური ინსპექციები, შეტანილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო-ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ოქტომბრის № 660 დადგენილებით, ცვლილებები და დამატებანი, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1960 წლის 4 თებერვალი, № 56

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 4 თებერვლის № 56
დადგენილებით

## დამატებანი და ცვლილებანი

**რომლებიც შეტანილია დებულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ (საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა)**

1. განაყოფის „საგაზო ზედამხედველობის დარგში“ „ა“ ქვეპუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვები „საქალაქო და რესპუბლიკური გაზტექნიკური ინსპექციების“.

2. მე-5 მუხლში ამოღებულ იქნას სიტყვები „და საგაზო ზედამხედველობის“.

3. განაყოფში „სამთო ზედამხედველობის დარგში“ ამოღებულ იქნას ქვეპუნქტი „მ“.

4. განაყოფს „საგაზო ზედამხედველობის დარგში“ დაემატოს ქვეპუნქტები:

„ვ) იმისადმი კონტროლი, რომ მომხმარებლებმა უსაშიშროდ გამოიყენონ გაზი საცხოვრებელ სახლებსა და დაწესებულებებში, საიმედოდ წარმოებდეს ექსპლუატაცია საქალაქო ქსელისა, მათზე მოწყობილი ნაგებობებისა და გაზსარიგებელი ქსელისა, გათხევადებული გაზის ბალონებისა და სატურატორებისა, აგრეთვე იმისადმი კონტროლი, რომ სწორად ხდებოდეს მომხმარებელთა მიერ დახარჯული გაზის აღრიცხვა;

ზ) იმ ორგანიზაციების მუშაობისადმი ზედამხედველობა, რომლებიც ახორციელებენ გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს“.

5. მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები „კონტროლი გაუწიოს გაზის სტანდარტების დაცვას მისი თბოუნარიანობის, ნახშირჟანგის, გოგირდწყალბადის და ინერტულ ნივთიერებათა ოდენობის, აგრეთვე გაზის ქსელში გაზის წნევის ნორმების მხრივ“.

6. განაყოფში „წესებისა და ინსტრუქციების მომზადების დარგში“ ქვეპუნქტი „ა“ მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ა) იმ წესის, ინსტრუქციების, ტექნიკური პირობებისა და ნორმების განხილვა, დამტკიცება და გამოცემა (საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის) გამომცემლობის მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ სამთო-მომპოვებელი მრეწველობის სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის საქვეკონტროლო საწარმოების, გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციების, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების ხარისხიანად დაპროექტებას, მშენებლობას, საიმედო და უშიშარ ექსპლუატაციას, და რომლებიც მიეკუთვნებიან საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობას“.

7. ქვეპუნქტი „ი“ განაყოფში „წესებისა და ინსტრუქციების მომზადების დარგში“ გამოიყოს მე-3 მუხლად და მიღებულ იქნას იგი შემდეგი რედაქციით:

„3) მასზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკურ ზედამხედველობას

აქვს რესპუბლიკის ძირითად აუზებსა და ქალაქებში რაიონული და საქალაქო ინსპექციები. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტი ახორციელებს ამ ინსპექციების მუშაობისა და საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას“.

8. მე-9 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9) საქართველოს სსრ სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მთავარ ინჟინერს უფლება აქვთ დაადონ იმ პირებს, რომლებიც დაარღვევენ სამთო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა უსაფრთხოების, წიაღისეულთა დაცვის, ქვაბზედამხედველობისა და საგაზო ზედამხედველობის მოქმედ წესებსა და ინსტრუქციებს, ჯარიმა 500 მანეთამდე, ხოლო რაიონული სამთო-ტექნიკური და საქალაქო გაზტექნიკური ინსპექციების უფროსებს—300 მანეთამდე.

ფულადი ჯარიმა დაჯარიმებულ პირებს გადახდებათ უდავო წესით“.

**11** **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავართბილმშენის სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების პირობებში დამატებათა შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი დამატებანი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 ოქტომბრის № 676 დადგენილებით:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან იმ ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც მიაღწევენ:

მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის გეგმის შესრულებას;

შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკის და სამრეწველო სანიტარულ საშუალებათა ათვისებას;

ხელფასის ფონდის გამოყენებას სახსრების გადაუხარჯავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შეტანილ იქნას შემდეგი დამატებანი მთავართბილმშენის სამ-შენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების პირობებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24 ივნისის № 396 დადგენილებით:

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან იმ ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც მიაღწევენ:

ახალი ტექნიკის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის დანერგვის გეგმის შესრულებას;

მიღებულ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვის გეგმის შესრულებას;

შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და სამრეწველო სანიტარიის საშუალებათა ათვისებას;

ხელფასის ფონდის გამოყენებას, თანხების გადაუხარჯავად.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავართბილმშენის სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო და სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების პირობები აღნიშნული დამატებებით შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1960 წლის პირველი კვარტალიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ქუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

*ქ. თბილისი, 1960 წლის 6 თებერვალი, № 75*

## 12 დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ

დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორების შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნას 1960 წლის 1 მარტიდან დრამატულ ნაწარმოებთა შესრულებისათვის (ორიგინალური პიესები, ინსცენირებანი, ნათარგმნი პიესები და ოპერების, ბალეტების, მუსიკალური კომედიების, საკონცერტო და საცირკო პროგრამების შესრულებისათვის) თეატრალურ-სანახაობათა საწარმოების მიერ ბილეთების გა-

ყიდვისაგან მიღებული საერთო შემოსავლის პროცენტული ანარიც-ხები, № 1 დანართის თანახმად.

2. დაწესდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1960 წლის 1 მარტიდან იმ დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთათვის ერთდროული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რომლებიც შეძენილი ან შეკვეთილია საჯარო შესრულებისათვის, № 2 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს, რომ დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ დასდონ ხელშეკრულებანი შეკვეთით ნაწარმოებთა შექმნის (ან მისი გამოცემის) შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან (ორგანიზაციასთან) და მიიღონ გასამრჯელო მოცემული ნაწარმოებისათვის მხოლოდ ერთ დაწესებულებაში ამ ორგანიზაციაში.

დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებმაც ნაწარმოებნი შეიძინეს, უფლება აქვთ გამოიყენონ ისინი ფართო საჯარო შესრულებისათვის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით გადასაცემად ისე, რომ ავტორს არ მიეცეს განსაკუთრებული დამატებითი გასამრჯელო ნაწარმოების დადგმის უფლებისათვის. საავტორო გასამრჯელოს ყველა სხვა სახეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით (პროცენტული ანარიცხები საჯარო შესრულებისათვის, ჰონორარი გამოცემისათვის), ძალაში რჩება.

4. დაწესდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1960 წლის 1 მარტიდან საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები მუსიკალურ-ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის, აგრეთვე გრამფირფიტებზე გამოშვებული ნაწარმოებებისათვის, № 3 დანართის თანახმად.

5. დამტკიცდეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ (იხ. ინსტრუქცია).

6. 1960 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა წინათ დაწესებული განაკვეთები და ნორმები საავტორო ჰონორარისა შეკვეთის შესრულებისათვის, დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა შეკვეთის შესრულებისათვის, მათი შეძენისა, გამოცემისა და საჯარო შესრულებისათვის.

7. დაწესდეს, რომ თუ დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები დაწერილია ვისმესთან თანაავტორობით, ავტორებს შორის ჰონორარის გასანაწილებლად დადებულ უნდა იქნას შეთანხმება; თუ ასეთი შეთანხმება ავტორებს შორის დადებული არ არის, ჰონორარი გაიყოფა თანაბრად ყველა თანაავტორს შორის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილებასთან ერთად მოამზადოს და გამოსცეს ქართულ ენაზე 1960 წელს საავტორო უფლების შესახებ მოქმედი ნორმატული აქტების კრებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 თებერვალი, № 81

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 თებერვლის № 81
დადგენილების დანართი № 1

# ნ ო რ მ ე ბ ი

## საავტორო ჰონორარისა დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის

| ნაწარმოებთა სახეობანი | ოდენობა ანარიცხებისა საერთო შემოსავლიდან, რომელიც შემოდის თეატრალურ სანახაობითი საწარმოების ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების შესრულებისათვის (%-ად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებნი | ერთაქტიანი ნაწარმოებნი |
| **I. ორიგინალური დრამატული ნაწარმოებნი** | | |
| საბჭოთა ავტორის პიესა ქართულ ენაზე: | | |
| პროზად | 9,0 | 2,5 |
| ლექსად | 10,0 | 3,0 |
| საბჭოთა ავტორის პიესა სომხურ, აფხაზურ, ოსურ ენაზე: | | |
| პროზად | 9,0 | 2,5 |
| ლექსად | 10,0 | 3,0 |
| საბჭოთა ავტორის პიესა რუსულ ენაზე: | | |
| პროზად | 4,0 | 1,5 |
| ლექსად | 5,0 | 2,0 |
| საბჭოთა ავტორის პიესა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა): | | |
| პროზად | 6,0 | 2,0 |
| ლექსად | 7,0 | 2,5 |
| **II. ინსცენირებანი** | | |
| ა) ისეთ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომლებსაც არ იცავს საავტორო უფლება: | | |
| პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე: | | |
| ინსცენირების ავტორს | 4,0 | 1,5 |
| პიესა-ინსცენირება სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე: | | |
| ინსცენირების ავტორს | 4,0 | 1,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | ოდენობა ანარიცხებისა საერთო შემოსავლიდან, რომელიც შემოდის თეატრალურ სანახაობითი საწარმოების ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების შესრულებისათვის (%-ად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებნი | ერთაქტიანი ნაწარმოებნი |
| პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე: | | |
| ინსცენირების ავტორს . . . . . | 1,5 | 1,0 |
| პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა) . . . . . , , , | 3,0 | 1,0 |
| ბ) ისეთ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომლებსაც იცავს საავტორო უფლება: | | |
| პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე: | 6,0 | 2,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს . . . . . | 2,0 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს . . . . . | 4,0 | 1,5 |
| პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე: | 3,0 | 1,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს . . . . . . | 1,5 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს . . . . . | 1,5 | 0,5 |
| პიესა-ინსცენირება სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე: | 6,0 | 2,0 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს . . . . . . | 2,0 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს . . . . . | 4,0 | 1,5 |
| პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა) | 4,0 | 1,5 |
| აქედან: | | |
| ნაწარმოების ავტორს . . . . . . | 1,5 | 0,5 |
| ინსცენირების ავტორს . . . . . | 2,5 | 1,0 |
| III. ნათარგმნი დრამატული ნაწარმოებები | | |
| ა) ისეთი პიესების თარგმნა, რომელთაც არ იცავს საავტორო უფლება: | | |
| უცხოური პიესის თარგმნა ქართულ ენაზე (მთარგმნელს): | | |
| პროზად . . . . . . . , , , , | 3,0 | 1,0 |
| ლექსად . . . . . . . . , , . | 4,0 | 1,5 |

| ნაწარმოებთა სახეობანი | ოდენობა ანარიცხებისა საერთო შემოსავლიდან, რომელიც შემოდის თეატრალურ სანახაობითი საწარმოების ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების შესრულებისათვის (%-ად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებნი | ერთაქტიანი ნაწარმოებნი |
| პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ქართულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე (მთარგმნელს) | | |
| პროზად | 3,0 | 1,0 |
| ლექსად | 4,0 | 1,5 |
| ბ) ისეთი პიესების თარგმნა, რომლებსაც იცავს საავტორო უფლება: | | |
| პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ქართულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, აგრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე: | | |
| პროზად | 4,0 | 1,5 |
| ლექსად | 5,5 | 2,0 |
| აქედან: | | |
| პროზად | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1,0 | 0,5 |
| მთარგმნელს | 3,0 | 1,0 |
| ლექსად | | |
| ნაწარმოების ავტორს | 1,5 | 0,5 |
| მთარგმნელს | 4,0 | 1,5 |
| **IV. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებნი** | | |
| 1. ოპერა ქართულ ენაზე | 12,0 | 4,0 |
| აქედან: კომპოზიტორს | 8,5 | 3,0 |
| ლიბრეტოს ავტორს | 3,5 | 1,0 |
| 2. ოპერა რუსულ ენაზე | 8,0 | 3,0 |
| აქედან: კომპოზიტორს | 5,5 | 2,0 |
| ლიბრეტოს ავტორს | 2,5 | 1,0 |
| 3. ოპერა, როდესაც ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ითარგმნება ქართულ ენაზე | 8,0 | 3,5 |
| აქედან: კომპოზიტორს | 4,0 | 1,5 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს | 2,0 | 1,0 |
| ლიბრეტოს ავტორს | 2,0 | 1,0 |
| 4. ოპერის ლიბრეტოს თარგმნისათვის უცხო ენიდან ქართულ ენაზე: | | |
| მთარგმნელს | 2,0 | 0,5 |
| 5. ბალეტი | 11,0 | 3,0 |
| აქედან: კომპოზიტორს | 8,5 | 2,0 |
| ლიბრეტოს ავტორს | 2,5 | 1,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | ოდენობა ანარიცხებისა საერთო შემოსავლიდან, რომელიც შემოდის თეატრალურ სანახაობითი საწარმოების ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების შესრულებისათვის (%-ად) | |
|---|---|---|
| | მრავალაქტიანი ნაწარმოებნი | ერთაქტიანი ნაწარმოებნი |
| 6. ოპერეტა ქართულ ენაზე . . . . . , , | 9,0 | 2,5 |
| აქედან: კომპოზიტორს . . . . . | 4,5 | 1,25 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . | 4,5 | 1,25 |
| 7. ოპერეტა, როდესაც ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ითარგმნება ქართულ ენაზე . . . . . , | 8,0 | 2,5 |
| აქედან: კომპოზიტორს . . . . . | 3,0 | 1,5 |
| ლიბრეტოს ავტორს . . . . . | 2,5 | 0,5 |
| ლიბრეტოს მთარგმნელს . . . | 2,5 | 0,5 |
| 8. ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტოს თარგმნისათვის უცხო ენიდან ქართულ ენაზე მთარგმნელს . . . . . . . . , | 2,0 | 0,5 |
| 9. ორიგინალური მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის . . . . . . , , . , , , | 0,4 აქტიდან მუსიკის აკომპანემენტით | |
| **V. საკონცერტო, საესტრადო, საცირკო პროგრამები** | | |
| 1. კონცერტი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებებისაგან . . | 5,0 მთელი პროგრამისათვის | |
| 2. სხვა კონცერტები, მათ შორის საესტრადოც . | 1,0 მთელი პროგრამისათვის | |
| 3. საცირკო პროგრამა რუსულ და ქართულ ენებზე | 0,5 მთელი პროგრამისათვის | |
| 4. საცირკო პროგრამაში პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის შესრულებისათვის, რომლებსაც უჭირავთ არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა | 0,5 ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დარიცხვისა ამ დანართის V განაყოფის მე-3 მუხლით. | |
| 5. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებსა და რესტორნებში, აგრეთვე საცეკვაო მოედნებზე (გარდა მექანიკური ჩანაწერისა) . . , , , . . . . . | 1,0 შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან | |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭიჩაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 თებერვლის № 81
დადგენილების დანართი № 2

# განაკვეთები

## ერთდროული საავტორო გასამრჯელოსი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შექმნილი ან შეკვეთილია საჯარო შესასრულებლად

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთობით) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| **I. დრამატული ნაწარმოებები** | | | | |
| 1. მრავალაქტიანი პიესები | | | | |
| პროზად . . . . . , | 8000 | 15000 | 22000 | 30000 |
| ლექსად . . . . . . . | 15000 | 20000 | 30000 | 40000 |
| 2. პიესები თოჯინების თეატრებისათვის და ერთაქტიანი პიესები | | | | |
| პროზად . . . . . , | 3000 | 5000 | 7000 | 10000 |
| ლექსად . . . . . . . | 5000 | 8000 | 11000 | 15000 |
| 3. მრავალაქტიანი ინსცენირებანი | 2000 | 5000 | 10000 | 15000 |
| 4. ერთაქტიანი ინსცენირებანი | 1000 | 2000 | 3500 | 5000 |
| 5. მრავალაქტიანი პიესების თარგმნისათვის: | | | | |
| პროზად . . . . . , | 2000 | 3000 | 5000 | 8000 |
| ლექსად . . . . . . . | 2000 | 5000 | 8000 | 10000 |
| 6. ერთაქტიანი პიესების თარგმნისათვის: | | | | |
| პროზად . . . . . , | 500 | 1000 | 2000 | 3000 |
| ლექსად . . . . . . . | 1000 | 2000 | 3500 | 5000 |
| **II. მუსიკალური ნაწარმოებნი** | | | | |
| 1. ოპერა . . . . . . | 30000 | 45000 | 60000 | 80000 |
| 2. ერთაქტიანი ოპერა . . . | 8000 | 10000 | 15000 | 20000 |
| 3. ბალეტი . . . . . . | 20000 | 30000 | 40000 | 50000 |
| 4. ერთაქტიანი ბალეტი . . . | 5000 | 6000 | 10000 | 12000 |
| 5. ოპერეტა, მუსიკალური კომედია | 12000 | 20000 | 30000 | 40000 |
| 6. ერთაქტიანი ოპერეტა . . | 3000 | 5000 | 7000 | 10000 |
| 7. ორატორია . . . . . | 12000 | 18000 | 24000 | 30000 |
| 8. სიმფონია . . . . . | 15000 | 20000 | 30000 | 40000 |
| 9. კანტატა . . . . . . | 8000 | 12000 | 16000 | 20000 |
| 10. დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა და სხვ.) | 10000 | 15000 | 20000 | 25000 |
| 11. კონცერტი ორკესტრით . | 8000 | 10000 | 15000 | 20000 |
| 12. სიუიტა სიმფონ. ორკესტრისათვის | 5000 | 6000 | 8000 | 10000 |
| 13. უვერტიურა სიმფონიური ორკესტრისათვის და სხვა არაციკლური დიდი ნაწარმოებნი . . . | 2000 | 4000 | 6000 | 8000 |
| 14. მცირე ერთ ნაწილიანი ნაწარმოებნი სიმფონიური ორკესტრისათვის | 1000 | 1500 | 2500 | 3000 |
| 15. რომანსები ხმისათვის ორკესტრით | 750 | 1500 | 2000 | 2500 |

ეროვნული

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთობით) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 16. ციკლური ნაწარმოებნი საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის | 1500 | 3500 | 5000 | 7000 |
| 17. მარშები სასულე ორკესტრებისათვის | 500 | 1500 | 2500 | 3000 |
| 18. ცეკვები და მცირე პიესები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის | 500 | 1000 | 1500 | 2500 |
| 19. დიდი ფორმის კამერული ანსამბლები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატები) . . . | 5000 | 8000 | 12000 | 15000 |
| 20. სიუიტები კამერული ანსამბლისათვის | 2000 | 3500 | 5500 | 7500 |
| 21. მცირე კამერული ნაწარმოებები (პრელუდიები, ნოქტიურნები და სხვ.) | 300 | 700 | 1200 | 1500 |
| 22. დიდი ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ | 1000 | 5000 | 8000 | 12000 |
| 23. მცირე ფორმების ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ | 500 | 1500 | 2000 | 3000 |
| 24. დიდი საგუნდო ნაწარმოებნი ინსტრუმენტული აკომპანემენტით | 1000 | 3000 | 5000 | 8000 |
| 25. მცირე ფორმების ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით | 500 | 1000 | 2000 | 2500 |
| 26. რომანსები, ბალადები | 500 | 1000 | 1500 | 2000 |
| 27. სიმღერები . . . . . | 400 | 700 | 1000 | 1500 |
| 28. ორიგინალური მუსიკა თეატრალურ-დრამატული დადგმებისათვის | 1000 | 2000 | 4000 | 7000 |
| **III. მუსიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოებნი** | | | | |
| 1. ოპერის ლიბრეტო . . . | 8000 | 15000 | 20000 | 25000 |
| 2. ოპერეტის ლიბრეტო . . | 5000 | 10000 | 15000 | 25000 |
| 3. ბალეტის ლიბრეტო . . | 3000 | 5000 | 7000 | 8000 |
| 4. ორატორის ლიბრეტო . | 1000 | 2500 | 3500 | 5000 |
| 5. პოემისა და კანტატის ტექსტი | 750 | 1500 | 2500 | 3200 |
| **IV. ნაწარმოებნი ესტრადისა და ცირკისათვის** | | | | |
| 1. სკეტჩი, დრამატული ეტიუდები | 750 | 1000 | 1500 | 2000 |
| 2. ფელეტონები, მინიატიურები, ინტერმედიები, კონფერანსები (გამჭოლი) | 500 | 1000 | 1500 | 2000 |
| 3. მოთხრობები, ნოველები, მონოლოგები . . . . . . | 500 | 1000 | 1500 | 2000 |
| 4. ტექსტები სიმღერებისათვის . | 350 | 600 | 800 | 1000 |
| 5. კუპლეტები და შაირები (ოთხტაეპიანი ლექსისათვის) | 35 | 75 | 100 | 150 |
| 6. მუსიკა კუპლეტებისა და შაირებისათვის . . . . | 250 | 350 | 400 | 500 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი (მანეთობით) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| 7. საესტრადო ნომრების მონტაჟები, კომპოზიციები და ლიტერატურული გაფორმებანი | 400 | 550 | 700 | 1000 |
| 8. შესავალი მონოლოგი წამყვანისათვის . . . . . . | 300 | 500 | 700 | 1000 |
| 9. პროლოგი და ფინალი, რომლებიც განკუთვნილია კოლექტივის მიერ შესასრულებლად . . | 900 | 1000 | 1100 | 1200 |
| 10. მოკლე დიალოგი (ინტერმედია) | 100 | 200 | 300 | 400 |
| 11. მოკლე გალექსილი ტექსტი | 100 | 200 | 400 | 500 |
| 12. რაიოკი . . . . . | 500 | 600 | 700 | 800 |
| 13. ანტრეს ლიტერატურული გადამუშავება . . . . . | 400 | 500 | 600 | 800 |
| 14. კლოუნის ანტრე . . . | 800 | 1200 | 1500 | 2000 |
| 15. ცალკე რეპრიზი . . . | 300 | 400 | 600 | 800 |
| 16. პანტომიმა, სიუჟეტური საცირკო წარმოდგენა (ლიბრეტო და ტექსტი) | 4500 | 6000 | 8000 | 10000 |
| 17. საცირკო ნომრის სცენარები (ახალი ორიგინალური ნომრის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება | 1000 | 1500 | 2500 | 3000 |
| 18. საცირკო ატრაქციონის სცენარები (ახალი ორიგინალური ატრაქციონის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება) . . . | 2000 | 3000 | 6000 | 8000 |
| 19. მუსიკალური შესავალი, ანტრაქტი საცირკო ან საესტრადო წარმოდგენისათვის . . . . . | 300 | 500 | 1000 | 2000 |
| 20. მარში გალოპი, ვალსი, პოლონური ინტერმეცო, რომანსი და სხვა მცირე პიესები . . . . . | 500 | 1000 | 1500 | 2500 |
| 21. წვრილი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც განკუთვნილია საცირკო ან საესტრადო ნომრის აკომპანემენტისათვის . . . . | 100 | 200 | 350 | 500 |
| 22. საცირკო ან საესტრადო ნომრის მუსიკალური კომპილაციური გაფორმება | 100 | 200 | 300 | 400 |

შენიშვნა: ა) ხალხური სიმღერების დამუშავება ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე;

ბ) ინსტრუმენტული გადმოღება (თავისუფალი) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე;

გ) ინსტრუმენტული გადმოღება (მარტივი) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 15-დან 25 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 თებერვლის № 81
დადგენილების დანართი № 3

# განაკვეთები

## საავტორო გასამრჯელოსი მუსიკალურ-ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის, აგრეთვე გრამფირფიტებზე გამოშვებული ნაწარმოებებისათვის

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთის რაოდენობა (მანეთობით) | | ტირაჟი (ცალი) |
|---|---|---|---|
| **ა) ოპერის, ბალეტის, მუსკომედიის მუსიკისათვის** (კლავირი ან პარტიტურა) | | | |
| 1. ოპერა | 12000 | 18000 | 5000 კლავირი |
| | 24000 | 30000 | 500 პარტიტურა |
| 2. ბალეტი | 8000 | 12000 | 3000 კლავირი |
| | 16000 | 20000 | 500 პარტიტურა |
| 3. მუსიკალური კომედია ოპერეტა | 7000 | 9000 | 5000 კლავირი |
| | 12000 | 15000 | 500 პარტიტურა |
| 4. ერთაქტიანი ოპერა, მუსკომედია, ბალეტი | 2000 | 4000 | 5000 კლავირი |
| | 6000 | 8000 | 500 პარტიტურა |
| **ბ) ნაწარმოებნი სიმფონიური ორკესტრებისათვის** (კლავირი ან პარტიტურა) | | | |
| 5. სიმფონია | 8000 | 9000 | 2000 კლავირი |
| | 10000 | 12000 | 500 პარტიტურა |
| 6. ორატორია | 6000 | 7000 | 2000 კლავირი |
| | 8000 | | 500 პარტიტურა |
| 7. კანტატა | 4000 | 4500 | 2000 კლავირი |
| | 5000 | 6000 | 500 პარტიტურა |
| 8. კონცერტი ორკესტრით, კონცერტი ორკესტრისათვის, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა) | 6000 | 7000 | 2000 კლავირი |
| | 8500 | 10000 | 500 პარტიტურა |
| 9. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, რაპსოდია და სხვა ანალოგიური სიმფონიური ნაწარმოებნი | 3000 | 4000 | 3000 კლავირი |
| | 5000 | 6000 | 1000 პარტიტურა |
| 10. მცირე სიმფონიური ნაწარმოები (მარში, ცეკვა და სხვ.) | 1500 | 2000 | 6000 კლავირი |
| | 2500 | 3500 | 3000 პარტიტურა |

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთის რაოდენობა (მანეთობით) | | ტირაჟი (ცალი) |
|---|---|---|---|

**გ) ნაწარმოებნი ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სასულე ორკესტრებისათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 11. კონცერტი ორკესტრით, სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, პოპური და სხვ. | 3000<br>4000 | 3500<br>5000 | 3000 პარტიტურა |
| 12. მცირე ფორმის ნაწარმოებნი (მარში, ცეკვა და სხვა) | 750<br>1200 | 1000<br>1500 | 10000 პარტიტურა |

**დ) ნაწარმოებნი საესტრადო ორკესტრებისა და საკონცერტო ანსამბლებისათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია | 2000 | 2500 | 3000 პარტიტურა |
| 14. მცირე პიესები (მარშები, ცეკვები და სხვა) | 750<br>1200 | 1000<br>1500 | 10000 პარტიტურა |

**შენიშვნა:** ამ დანართის 11—14 მუხლებით გათვალისწინებული ნაწარმოებნი წარდგენილი იქნება პარტიტურებად. კლავირის წარდგენის შემთხვევებში ანაზღაურება იწარმოებს პარტიტურის ღირებულების 40 პროცენტამდე.

**ე) კამერული ნაწარმოებნი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 15. კვინტეტი, კვარტეტი, ტრიო და სხვ. ანსამბლები. სოლოს ან ანსამბლის სონატა | 3000<br>4500 | 3500<br>5000 | 1000 პარტიტურა |
| 16. სიუიტა, კამერული ანსამბლისათვის, ვარიაციები, სკერცო და სხვ. | 1500<br>2500 | 2000<br>3000 | 1500 პარტიტურა |
| 17. მცირე ნაწარმოებნი ცალკეული ინსტრუმენტებისათვის (ნოქტიურნი, პრელიუდიები, ეტიუდები, ცეკვა და სხვ. | | | |
| ა) საკონცერტო შესრულებისათვის | 500<br>900 | 700 | 3000 |
| ბ) პედაგოგიური | 200<br>700 | 400<br>900 | 10000, ხოლო სწავლების პირველი საფეხურებისათვის 50000 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთის რაოდენობა (მანეთობით) | | ტირაჟი (ცალი) |
|---|---|---|---|
| | | | |
| **ვ) ვოკალური ნაწარმოებნი** | | | |
| 18. მრავალნაწილიანი ნაწარმოებნი | 4000 | 5000 | 2000 |
| გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე | 6000 | 8000 | |
| 19. ერთნაწილიანი ნაწარმოებნი | 1000 | 1300 | 10000 |
| გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე | 1600 | 2000 | |
| 20. მრავალნაწილიანი საგუნდო ნაწარმოებები ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანემენტით | 3000<br>5000 | 4000<br>6000 | 3000 |
| 21. ერთნაწილიანი ნაწარმოებნი გუნდისათვის ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანემენტით | 750<br>1250 | 1000<br>1500 | 15000 |
| 22. ვოკალური ანსამბლები აკომპანემენტით ან უაკომპანემენტოდ (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და სხვ.) | 750<br>1250 | 1000<br>1500 | 10000 |
| 23. მასობრივი ან საესტრადო სიმღერა ხმისათვის ან გუნდისათვის ფორტეპიანოს ან ბაიანის აკომპანემენტით | 500<br>800 | 600<br>1000 | 25000 |
| | ფურცლები-სიმღერათა კრებულები | | 50000 |
| 24. მუსიკალური ნაწარმოებნი ხმისათვის ინსტრუმენტული აკომპანემენტით (რომანსი, ბალადა, ვოკალიზი და სხვ.) | 500<br>900 | 700<br>1100 | 5000 |
| **ზ) მუსიკალურ-პედაგოგიური ნაწარმოებნი** | | | |
| 25. მუსიკალური კრებულების შედგენა | 100<br>400 | 200 | 300 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთის რაოდენობა (მანეთობით) | | ტირაჟი (ცალი) |
|---|---|---|---|
| 26. თვითმასწავლებლე-ბისა და სკოლების შედგენა (მთლიანად ყველა ნაწარმოები-სათვის) | საავტორო ფურცელში<br>2000<br>6000 | <br><br>4000<br>8000 | 25000<br><br>10000 სკოლებისათვის<br>60000 თვითმასწავლებ-ლებისათვის |

შენიშვნა: 1. ორიგინალურ ნაწარმოებად, როგორც წესი, მიიღება პარტიტურა, ხოლო კლავირი შეფასდება როგორც გადმოღება და ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დადგენილი შესაბამისი ჰონორარის 40 პროცენტამდე რაოდენობით. ცალკეულ შემთხვევებში (ოპერის, ბალეტის, მუსიკალური კომედიის გამოცემის დროს) ორიგინალურ ნაწარმოებად შეიძლება მიღებულ იქნას კლავირი, ამ შემთხვევაში გადმოღებად მიიღება პარტიტურა, რომელიც ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებისათვის შესაბამისი ჰონორარის 40 პროცენტამდე.

2. საავტორო ფურცლის გამოანგარიშებისას 3.000 კვ. სანტიმეტრი ფართობი, რომელიც უკავია ილუსტრაციებს და ნოტის მაგალითებს, გაუთანაბრდება ერთ საავტორო ფურცელს. ილუსტრაციები და ნოტის მაგალითები, რომლებიც მოთავსებულია წიგნებში, ანაზღაურდება: ორიგინალური — ფურცელში განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით, ნასესხები—ფურცელში განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით.

3. ნაწარმოების განმეორებითი გამოცემანი ანაზღაურდება: მეორე — პირველი გამოცემის ჰონორარის განაკვეთის 60 პროცენტის, მესამე — 50 პროცენტის, მეოთხე — 40 პროცენტის, მეხუთე — 40 პროცენტის, მეექვსე და ყოველი შემდგომი გამოცემა — 30 პროცენტის ოდენობით.

ნაწარმოების გამოცემის რიგითი ნომრის გამორკვევისას მხედველობაში მიიღება ყველა წინანდელი გამოცემა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, დამოუკიდებლად მათი ტირაჟებისა და გამოსვლისა.

4. როდესაც მუსიკალური ნაწარმოები გამოდის „ჯიბის პარტიტურის" სახით, გამოცემის ტირაჟი დაწესდება 2000 ცალის რაოდენობით.

5. მუსიკის სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები, წიგნები მუსიკათმცოდნეობის, მუსიკის ისტორიისა და თეორიის შესახებ და სხვა ლიტერატურული შრომები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკასთან, ანაზღაურდება შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის დადგენილი წესით.

| ნაწარმოებთა სახეობანი | განაკვეთის რაოდენობა (მანეთობით) | | ტირაჟი (ცალი) |
|---|---|---|---|
| | | | |

თ) ტექსტები მუსიკალური ნაწარმოებებისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 27. ოპერის ლიბრეტო | 4000<br>6000 | 5000<br>8000 | ტირაჟები წესდება მუსიკალური ნაწარმოებების შესაბამის სახეობათა მიხედვით |
| 28. ოპერეტის, მუსკომედიის ლიბრეტო | 3000<br>5000 | 4000<br>6000 | |
| 29. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსკომედიის ლიბრეტო | 1500<br>2200 | 1800<br>2500 | " |
| 30. ორატორიის ლიბრეტო | 2000<br>4000 | 3000<br>5000 | " |
| 31. კანტატის ლიბრეტო | 1000<br>2200 | 1500<br>3000 | " |
| 32. სიმღერებისა და რომანსების გალექსილი ტექსტი | 500<br>800 | 600<br>1000 | " |

შენიშვნა: როდესაც ლიბრეტო ცალკეულ ბროშურებად გამოდის, ტირაჟი წესდება 25.000 ცალი.

ი) იმ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის განაკვეთები, რომლებიც გამოშვებულია გრამფირფიტებზე:

| | ჰონორარის განაკვეთი კაპიკობით თვითეული გამოშვებული ფირის გვერდისათვის | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჩვეულებრივი ფირები | ხანგრძლივ დამკვრელი ფირები ზომის მიხედვით | | |
| | | 200 მ/მ | 250 მ/მ | 300 მ/მ |
| 33. სიმფონიური, კამერული, ინსტრუმენტული მუსიკა, ოპერები, ბალეტები, პიესები და მათი ნაწყვეტები | 4<br>1 | 8<br>4 | 10<br>6 | 20<br>10 |
| 34. სხვა ნაწარმოებები, მათ შორის მუსიკალური ტექსტით | 2 | 4 | 6 | 10 |

შენიშვნა: 1. ორიგინალური მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს მიეცეთ ჰონორარი სრული განაკვეთებით; ისეთ დამუშავებათა

რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების № 2 დანართით, გავრცელდება გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა შეკვეთის ან საჯაროდ შესრულების ყველა ხელშეკრულებაზე, რომლებიც დადებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში, დაწყებული . . . . . . . -დან.

თუ გამოუქვეყნებელი ნაწარმოები შესრულებული იყო ავტორთან ხელშეკრულების დაუდებლად, № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთები შეფარდებული იქნება იმ პირობით, თუ პირველი საჯარო შესრულება მოხდა არა უადრეს . . . .

3. ავტორთა მემკვიდრეების სასარგებლოდ დარიცხულ საავტორო ჰონორარს ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რაც განხორციელდა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 19 . . . წლის . . . -დან, სრულიად საკავშირო საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს საქართველოს განყოფილება მისცემს მემკვიდრეებს, მათი საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში, იმ თანხის 50 პროცენტის ოდენობით, რომელიც უნდა მისცემოდა თვით ავტორს (აგრეთვე იმ შემთხვევების ჩათვლით, როდესაც ნაწარმოები პირველად იქნა გამოქვეყნებული ავტორის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეების მიერ), დარიცხულ და მემკვიდრეებისათვის მისაცემ თანხას შორის განსხვავებას განყოფილება გადასცემს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) ბიუჯეტის შემოსავალში.

4. მუსიკალურ-ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების № 3 დანართით, გავრცელდება ყველა აღნიშნულ ნაწარმოებზე, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში დაიბეჭდა . . . . -დან დაწყებული დამოუკიდებლად საგამომცემლო ხელშეკრულების დადების დროისა. . . . . .

თუ საგამომცემლო ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ავტორთან . . . . მდე, აწესებს ჰონორარის ოდენობას იმ ნორმების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია № 3 დანართით შესაბამისი სახის ნაწარმოებებისათვის, ხელშეკრულებით დადგენილი განაკვეთი ძალაში რჩება, თუნდაც ნაწარმოები ხელშეკრულების შესაბამისად, გამოვიდეს . . . . . . შემდეგ.

5. მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (განაყოფი „თ“), რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების № 3 დანართით, გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ნაწარმოებნი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორებს, რომლებიც შეიძლება გათანაბრებულ იქნას ორიგინალურ ნაწარმოებებთან, და თარგმანების ავტორებს — ნახევარი ოდენობით.

2. ჰონორარის დარიცხვას აწარმოებს ყველა საწარმო, რომლებიც უშვებენ გრამფირფიტებს, დამოუკიდებლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ჰონორარის გაცემის წესი დადგენილია ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და „საუდთან“ შეთანხმებით.

3. მექანიკურად ჩაწერილ ნაწარმოებთა შესრულებისათვის კინოთეატრებში, კაფეებში, რესტორნებში, საცეკვაო მოედნებზე, თეატრალურ-სანახაობათა საწარმოებში (დამოუკიდებლად იმისა, ფასად თუ უფასოდ სრულდება ისინი), ავტორებს არა აქვთ დამატებითი გასამრჯელოს მოთხოვნების უფლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 თებერვლის № 81
დადგენილებით

## ინსტრუქცია

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების შეფარდების შესახებ

„დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“

### I. შესავალი დებულებანი

1. საავტორო ჰონორარი ამ დადგენილების 1 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით დაერიცხება დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რაც ხორციელდება . . .-დან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარი მიეცემათ ავტორებს მხოლოდ და მხოლოდ საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების მეშვეობით, რომელიც ამასთან გამოდის როგორც ავტორების კანონიერი წარმომადგენელი.

2. დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთათვის ერთდროული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები,

იცემა მათთვის დაწერილ მუსიკასთან ერთად ან როგორც [illegible]ბა სპექტაკლის ან კონცერტისათვის. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მუსიკალური ნაწარმოებების ტექსტების გამოცემის დროს შეფარდებული იქნება განაკვეთები საავტორო ჰონორარისა ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის.

## II. ნორმები საავტორო ჰონორარისა ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის

6. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარი დაერიცხება საჯარო შესრულების ყველა შემთხვევაში მაყურებელთათვის როგორც ფასიან, ისე უფასო შესვლის დროს, გარდა:

ა) შესრულებისა, რომელიც ხორციელდება მუზეუმებში, ლექტორიუმებში, ბიბლიოთეკებში, ქოხ-სამკითხველოებში, სასოფლო კლუბებში, წითელ კუთხეებსა და სასწავლებლებში (გარდა სასწავლებელთა კლუბებისა) მომსვლელთათვის ფასის გადაუხდევინებლად;

ბ) შესრულებისა, რომელიც ხორციელდება მომსვლელთათვის ფასის გადაუხდევინებლად და შემსრულებლებისათვის ან შემსრულებელთა კოლექტივისათვის რაიმე გასამრჯელოს მიუცემლად;

გ) მექანიკურად ჩაწერილი მუსიკის შესრულებისა საცეკვაო მოედნებზე.

7. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარი დაერიცხება დაწესებული პროცენტობით:

ა) საერთო შემოსავლის თანხიდან — იმ შემთხვევებში, როდესაც ბილეთების გაყიდვის დროს მიღებული ამონაგები შედის გადამხდელის სალაროში;

ბ) გარანტირებული საზღაურის თანხიდან — იმ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი ატარებს გამოსვლებს სხვა ორგანიზაციის (შემკვეთის) მოედანზე, სდებს რა შემკვეთთან ხელშეკრულებას არტისტთა გამოსვლების გარანტირებული ანაზღაურების შესახებ; გარანტირებული საზღაურის თანხა უთანაბრდება საერთო შემოსავლის თანხას;

გ) გასამრჯელოს (ხელფასის) თანხიდან, რაც დაერიცხათ შემსრულებლებს (5 პროცენტი) — იმ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი მომსვლელებს არ ახდევინებს შესვლის საფასურს და არ იღებს ხელშეკრულებით გარანტირებულ საზღაურს, აგრეთვე იმ

შემთხვევებში, როდესაც მუსიკა სრულდება საცეკვაო მოედნებზე (არამექანიკური ჩაწერით).

8. თეატრები, საკონცერტო და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სატელევიზიო სტუდიებთან ხელშეკრულებებით უთმობენ სპექტაკლებსა და კონცერტებს ტელეხედვით გადაცემისათვის სტუდიების სადგომებიდან, იხდიან ამ გამოსვლებისათვის საავტორო ჰონორარს დაწესებული პროცენტობით სპექტაკლისა ან კონცერტისათვის გეგმიანი შემოსავლის თანხიდან.

9. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარი დაერიცხება ამ დადგენილების № 1 დანართში აღნიშნული სრული განაკვეთით, აგრეთვე ისეთი შემთხვევების ჩათვლით, როდესაც საკონცერტო, საესტრადო ან საცირკო პროგრამის შემადგენლობაში (№ 1 დანართის განაყოფი V) შედის თუნდაც ერთი ნაწარმოები, რომელსაც საავტორო უფლება იცავს.

იმ ნაწარმოებთა საკონცერტო პროგრამისათვის შემოსულ ჰონორარს, რომლებსაც იცავს ან არ იცავს საავტორო უფლება, გაანაწილებს საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება და არა თვით გადამხდელი, გარდა ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**შენიშვნა:** საავტორო ჰონორარი დაერიცხება აგრეთვე საერთო საფუძვლებზე ყველა მუსიკალურ კონცერტს, რომლებიც შედგება მთლიანად ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს (ჰონორარი კონცერტებში ისეთი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს, გადაეცემა სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 სექტემბრის № 1511 დადგენილების შესაბამისად).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 ივნისის № 6519 განკარგულების შესაბამისად, საავტორო ჰონორარი არ დაერიცხება კონცერტებს, რომლებიც მთლიანად შედგება ბოროდინის, ჩაიკოვსკის, ბალაკირევის, კიუის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ტანეევის, ლიადოვის, არენსკის, სკრიაბინის, რუბინშტეინის, სეროვის და კალინიკოვის ნაწარმოებებისაგან, რომლებიც ცნობილია სახელმწიფოს კუთვნილებად.

10. ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს მიეკუთვნებიან:

ა) ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები;

ბ) იმ გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები, რომელთა მემკვიდრეები არა ჩანან ან დაკარგეს საავტორო უფლება კანონით დაწესებული ვადის გასვლის გამო;

გ) უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების კუთვნილი ნაწარმოებები, თუ ეს ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

11. მრავალაქტიან დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებად ითვლებიან ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც აქვთ, როგორც წესი, სულ ცოტა 3 აქტი. ორაქტიანი ნაწარმოები ითვლება მრავალაქტიანად, თუ მას უკავია მთელი სპექტაკლი.

12. თუ სპექტაკლი შეიცავს რამდენიმე ერთაქტიან ან ერთაქტიან და მრავალაქტიან ნაწარმოებებს, ჰონორარი დაერიცხება ცალკე თვითეული ნაწარმოებისათვის მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით.

თუ სპექტაკლი შეიცავს ერთაქტიან და ორაქტიან ნაწარმოებს, ჰონორარი ერთაქტიანი ნაწარმოებისათვის დაერიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით, ხოლო ორაქტიანი ნაწარმოებისათვის — იმ განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოებებისათვის.

თუ ერთაქტიანი ნაწარმოები სრულდება საკონცერტო პროგრამით და უკავია მთელი განყოფილება, ამ ნაწარმოებისათვის ჰონორარი დაერიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით, და გარდა ამისა, დაერიცხება იმ განაკვეთის ნახევარი, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი საკონცერტო პროგრამისათვის.

13. ნაწარმოები ითვლება ლექსად დაწერილად, თუ სცენიდან წარმოთქმული ტექსტის ნახევარი მაინც გადმოცემულია ლექსის ფორმით (გარითმულ, თეთრ ან თავისუფალ ლექსად).

14. ნაწარმოებში აქტების რაოდენობა და გალექსილი ტექსტის მოცულობა განისაზღვრება იმ ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც ადასტურებს, რომ ნაწარმოები ნებადართულია საჯარო შესრულებისათვის.

თუ ნაწარმოები გამოქვეყნებულია თვით ავტორის მიერ ორ ან რამდენიმე ენაზე იმავდროულად შენიშვნის გაუკეთებლად თუ რომელი ტექსტი ითვლება ორიგინალურად და რომელი ნათარგმნად, იგი ჩაითვლება ორიგინალურად ყოველ ამ ენაზე.

15. პიესა-ინსცენირებებს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი პიესები, რომლებიც დაწერილია სხვა ნაწარმოებების, მათ შორის ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების მოტივებით.

**შენიშვნა:** საბავშვო პიესები, რომლებიც დაწერილია ხალხური ზღაპრების მოტივებით, უთანაბრდება ორიგინალურ ნაწარმოებებს.

16. ისეთი პიესა-ინსცენირების თარგმნის დროს, რომელსაც საავტორო უფლება იცავს, თარგმნილი ნაწარმოების ავტორისათვის დარიცხული ჰონორარი გაიყოფა ინსცენირებული ნაწარმოების ავტორსა და ინსცენირების ავტორს შორის იმავე თანაფარდობით, როგორითაც მათ შორის იყოფა ჰონორარი ინსცენირებისათვის მისი ორიგინალად შესრულების დროს. თუ ინსცენირებული ნაწარმოები არ არის დაცული საავტორო უფლებით, მისი ავტორის წილის გამორკვევისას უნდა იმოქმედონ ისე თითქოს ნაწარმოებს საავტორო უფლება იცავდეს, და ჰონორარს, რომელიც ამ წილს შეადგენს, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადასცემს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) ბიუჯეტის შემოსავალში.

17. უკეთუ პიესის თარგმანი სსრ კავშირის რომელიმე ხალხის ენაზე განხორციელებულია არა ორიგინალიდან, არამედ სხვა, საშუალედო თარგმანიდან, საშუალედო თარგმანის ავტორს ჰონორარი არ მიეცემა.

18. საავტორო ჰონორარის განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა შესრულებისათვის (ამ დადგენილების № 1 დანართის განაყოფი IV), შეფარდებული იქნება აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ნაწარმოები იდგმება საკონცერტო შესრულებით.

19. ოპერებისა და ოპერეტების ლიბრეტოს თარგმნისათვის უცხო ენიდან ქართულ ენაზე, ჰონორარი დაერიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისად IV განაყოფის მე-3 და მე-7 მუხლებით.

20. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის მუსიკა დაცულია საავტორო უფლებით, ხოლო ლიბრეტო არ არის დაცული ან პირიქით, საავტორო ჰონორარი დაერიცხება მარტო იმ ნაწარმოებისათვის (მუსიკის ან ლიბრეტოს), რომელსაც საავტორო უფლება იცავს.

21. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის ლიბრეტო დაწერილია სხვა ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე, რომელსაც საავტორო უფლება იცავს, ამ ნაწარმოების ავტორს გამოეყოფა: ოპერისა და ბალეტისათვის — $^1/_4$ ნაწილი, ხოლო ოპერეტისათვის — $^1/_3$ ნაწილი ლიბრეტოს ავტორის იმ განაკვეთებისა, რომელნიც გათვალისწინებულია №№ 1 და 2 დანართებით. თუ ნაწარმოებს, რომლის საფუძველზე დაწერილია ლიბრეტო, საავტორო უფლება არ

იცავს, ჰონორარის წილს, რომელიც ამ ნაწარმოების ავტორს ერგებოდა, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადასცემს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) ბიუჯეტის შემოსავალში.

22. ოპერეტების ლიბრეტოს ვარიანტები და ახალი ქვეტექსტები უცხოელ კომპოზიტორთა მუსიკით უთანაბრდება თარგმანებს (№ 1 დანართის IV განაყოფის მე-8 მუხლი).

23. მუსიკალური სპექტაკლებისათვის, რომლებიც იდგმება როგორც ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის თეატრებში, ისე დრამატულ თეატრებშიც, ჰონორარი დაერიცხება: ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის თეატრებში — ოპერეტისათვის გათვალისწინებული განაკვეთებით; დრამატულ თეატრებში—ცალკე პიესისათვის, შესაბამისი განაკვეთის მიხედვით, და სპექტაკლის ორიგინალური მუსიკისათვის (შემოსავლის 0,4 პროცენტის ოდენობით ყოველი აქტისათვის, რომელიც მუსიკის აკომპანემენტით სრულდებოდა).

24. დრამატული სპექტაკლების ორიგინალური მუსიკისათვის ჰონორარი დაერიცხება სპექტაკლის ყოველ აქტში, რომელიც მუსიკის აკომპანემენტით სრულდება, დამოუკიდებლად მუსიკალური ნომრების რაოდენობისა, აგრეთვე იმისა — ჟღერს მუსიკა მუსიკოსთა შესრულებით თუ მექანიკური ჩაწერით. თუ სპექტაკლის ცალკეული აქტები მიდის მუსიკის გარეშე ან ისეთი მთლიანი მუსიკის აკომპანემენტით, რომელსაც საავტორო უფლება არ იცავს, ამ აქტებისათვის საავტორო ჰონორარი არ დაერიცხება. პიესასა და სპექტაკლში აქტების რაოდენობას შორის განსხვავების დროს საავტორო ჰონორარი მუსიკალური აკომპანემენტისათვის დაერიცხება სპექტაკლში აქტების რაოდენობის მიხედვით,

25. საავტორო ჰონორარი საკონცერტო, საესტრადო და საცირკო პროგრამებისათვის (ამ დადგენილების № 1 დანართის განაყოფი V) დაერიცხება დამოუკიდებლად იმისა, ჟღერს ნაწარმოები არტისტთა შესრულებით თუ მექანიკური ჩანაწერით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჰონორარი დაერიცხება შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან.

26. საავტორო ჰონორარი შერეული საკონცერტო პროგრამისათვის დაერიცხება შემოსავლის 5 პროცენტის ოდენობით, თუ კონცერტში სრულდება თუნდაც ერთი დიდი სიმფონიური ან ვოკა-

ლურ-სიმფონიური ნაწარმოები (სიმფონია, ორატორია, კანტატა, სიმფონიური პოემა ან უვერტიურა, ინსტრუმენტული კონცერტი ორკესტრით და ა. შ.), ან დიდი ფორმის კამერული ნაწარმოები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატა).

ისეთი შერეული საკონცერტო პროგრამის შესრულების ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რომელშიაც შედიან როგორც მცირე ფორმების სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები, ისე სხვა (ლიტერატურული, საესტრადო და სხვა) ნაწარმოებები, საავტორო ჰონორარი გადახდება შემოსავლის სამი პროცენტის ოდენობით.

27. საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენები ჩაითვლება საესტრადო კონცერტებად; ნაძვისხის საცირკო წარმოდგენები, თუ ისინი სპეციალურად დაწერილია ცირკისათვის, უთანაბრდება პანტომიმას.

28. ჰონორარი საცირკო პროგრამისათვის შემოსავლის 0,5 პროცენტის რაოდენობით დაერიცხება, თუ შესრულება წარმოებს ცირკის არენაზე ანდა თუ კონცერტი შედგება მხოლოდ საცირკო ნომრებისაგან; ნაკრები პროგრამის შემადგენლობით საცირკო გამოსვლების ყველა დანარჩენ შემთხვევაში ჰონორარი დაერიცხება როგორც საესტრადო კონცერტისათვის.

29. ორიგინალური მუსიკისათვის, რაც სპეციალურად დაწერილია საცირკო პანტომიმის, ფეერიის ან ბალეტის საакომპანემენტოდ, რომლებსაც უკავიათ სულ ცოტა ერთი დამოუკიდებელი განყოფილება, საავტორო ჰონორარი დაერიცხება საერთო შემოსავლის 0,25 პროცენტის ოდენობით თვითეული განყოფილებისათვის, რომელშიაც მუსიკა სრულდება იმ განაკვეთების ზევით, რაც დაწესებულია საერთო საცირკო პროგრამისა და პანტომიმისათვის, ფეერიისა ან ბალეტისათვის.

30. საავტორო ჰონორარი შემსრულებელთა გასამრჯელოს (ხელფასის) თანხის 5 პროცენტის ოდენობით დაერიცხება ყველა სპექტაკლისა და კონცერტისათვის, რომლებიც ტარდება შესასვლელი ფასის გადაუხდევინებლად და, ამასთან, საგარანტიო საზღაურის გადაუხდელად, გარდა ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა. შემსრულებელთა ხელფასის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ჰონორარი დაერიცხება, კერძოდ, ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შესრულებულია კინოთეატრების ფოიეში, კაფესა და რესტორნებში, სტადიონებზე, ბაღებსა და პარკებში, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში, აგრეთვე ცეკვების

მუსიკის შესრულებისათვის (მექანიკური ჩანაწერის შესრულების გამორიცხვით), მიუხედავად იმისა, შესვლა ფასიანია თუ უფასო.

საავტორო ჰონორარი ცეკვების მუსიკის შესრულებისათვის, რომლებიც მოწყობილია თეატრების ფოიეში სპექტაკლის დაწყებამდე, ანტრაქტებში ან სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, დაერიცხება ამ მუსიკის შემსრულებელთა გასამრჯელოს თანხის 5 პროცენტის ოდენობით, დამოუკიდებლად იმისა, დარიცხულია თუ არა საავტორო ჰონორარი სპექტაკლისათვის საერთო შემოსავლის თანხიდან.

**შენიშვნა:** თუ ბაღში ან პარკში არის მოედანი, სადაც ხორციელდება ნაწარმოებთა საჯარო შესრულება ცალკე ფასგადახდით, საავტორო ჰონორარი დაერიცხება არა შემსრულებელთა გასამრჯელოს თანხიდან, არამედ საერთო საფუძველზე იმ შემოსავლის თანხიდან, რომელიც მიღებულია მოედანზე ბილეთების გაყიდვისაგან.

## III. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის დარიცხვისა და გადახდევინების წესი

31. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის გადამხდელები არიან ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო შესრულებას: თეატრები, საკონცერტო და საცირკო გაერთიანებები და კოლექტივები, საკონცერტო-საესტრადო ბიუროები, ფილარმონიები, ცირკები, კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ოფიცერთა სახლები, კაფე და რესტორნები, პარკები, ბაღები, სტადიონები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები და ა. შ.

32. ყველა თეატრი, მუსიკალური ორგანიზაცია და სტაციონარული ცირკი იხდის საავტორო ჰონორარს არტისტთა ძალებით, საჯარო შესრულებისათვის როგორც სტაციონარებში, ისე მოედნებზე, რომლებიც სხვა ორგანიზაციებს ეკუთვნით, ცენტრალიზებული წესით თავიანთი ბაზების ადგილსამყოფელის მიხედვით, გარდა ისეთი შემთხვევებისა:

ა) როდესაც სტაციონარული თეატრი, ცირკი ან მუსიკალური კოლექტივი, რომელიც არ შედის ფილარმონიების ან საესტრადო ორგანიზაციების სისტემაში, გამოდის კერძო მოედნებზე, თავისი ბაზის ადგილსამყოფელის გარეთ, ამასთან დროებითი ადგილსამყოფელის მიხედვით გახსნის ანგარიშს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში (ამ შემთხვევაში ეს თეატრი, ცირკი ან

კოლექტივი ჰონორარს გადაიხდის ანგარიშის გახსნის ადგილის მიხედვით);

ბ) როდესაც მოძრავი, საკოლმეურნეო და თოჯინების თეატრები, მუსიკალური კოლექტივები ან საკონცერტო ბრიგადები გამოდიან ადგილობრივ ფილარმონიებთან და საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულებებით (ამ შემთხვევაში ჰონორარს იხდიან ფილარმონიები და საკონცერტო-საესტრადო ბიუროები, რომლებმაც გამოსვლები მოაწყეს).

33. ფილარმონიები და საკონცერტო-საესტრადო ბიუროები საავტორო ჰონორარს იხდიან ცენტრალიზებული წესით თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით საჯარო შესრულებისათვის თავიანთი სოლისტების, კოლექტივებისა და ბრიგადების, აგრეთვე იმ თეატრების, საკონცერტო და საცირკო ჯგუფების, ბრიგადებისა და ანსამბლების ძალებით, რომლებიც იმყოფებიან სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში, მაგრამ გამოდიან ფილარმონიებთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულებებით (გარდა ამ ინსტრუქციის 37-ე მუხლში აღნიშნულისა).

თუ ფილარმონიის (საკონცერტო-საესტრადო ბიუროს) კოლექტივი ან ბრიგადა გამოდის სხვა ფილარმონიასთან (საკონცერტო-საესტრადო ბიუროსთან) ხელშეკრულებით, საავტორო ჰონორარს იხდის ის საკონცერტო ორგანიზაცია, რომელთან ხელშეკრულებით ტარდება გამოსვლები.

34. საჯარო შესრულებისათვის, რაც ხორციელდება მოძრავი საცირკო კოლექტივების ძალებით ფილარმონიებთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულებათა დაუდებლად, საავტორო ჰონორარს გადაიხდის ცენტრალიზებული წესით საცირკო გაერთიანების ჯგუფი, რომელშიც კოლექტივი შედის, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, მოძრავი საცირკო კოლექტივები, რომლებიც საცირკო გაერთიანების ჯგუფში არ შედიან, საავტორო ჰონორარს იხდიან დამოუკიდებლად გამოსვლის ადგილის მიხედვით.

35. კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ოფიცერთა სახლები, კაფეები და რესტორნები, პარკები, ბაღები, სტადიონები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები იხდიან საავტორო საჯარო შესრულებისათვის იმ აქტიორების, ბაიანისტებისა და სხვა შემსრულებელთა ძალებით, რომლებიც არიან მოცემული ორგანიზაციის შტატის მუშაკები ან მოწვეული არიან მის მიერ შრომითი შეთანხმებებით.

თუ კლუბს ან კულტურის სახლს ჰყავს თავისი პროფესიონალური შემსრულებელი კოლექტივები, რომლებიც გამოდიან ფილარმონიებთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულების დაუდებლად, საავტორო ჰონორარი საჯარო გამოსვლისათვის, რაც ამ კოლექტივების ძალებით ხორციელდება, გადახდილი იქნება ცენტრალიზებული წესით კლუბის ან კულტურის სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

36. კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ოფიცერთა სახლები, პარკები და ყველა სხვა ორგანიზაცია, რომლებიც გამოსვლებისათვის იწვევენ სამხედრო ნაწილების შემსრულებელთა კოლექტივებს და თვითმოქმედ კოლექტივებს, საავტორო ჰონორარს იხდიან აგრეთვე საჯარო გამოსვლისათვის, რომელიც ხორციელდება ამ კოლექტივების ძალებით: როდესაც შესვლა ფასიანია — საერთო შემოსავლის თანხიდან, როდესაც შესვლა უფასოა, მაგრამ დადებულია ხელშეკრულება სამხედრო ნაწილთან ან ორგანიზაციასთან, რომლისგანაც თვითმოქმედების კოლექტივი გამოდის, — გარანტირებული საზღაურის თანხიდან; როდესაც შესვლა უფასოა, მაგრამ გასამრჯელო ეძლევათ უშუალოდ თვითშემსრულებლებს, აგრეთვე როდესაც სრულდება მუსიკა ცეკვებისათვის — შემსრულებლებისათვის დარიცხული გასამრჯელოს (5 პროცენტი) თანხიდან.

37. კულტურისა და დასვენების პარკები საავტორო ჰონორარს იხდიან აგრეთვე იმ შემსრულებელთა კოლექტივების ძალებით საჯარო შესრულებისათვის, რომლებიც ფილარმონიებმა ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებმა გაგზავნეს პარკში მუშაობისათვის გენერალური (სეზონური) ხელშეკრულებებით.

38. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, გარდა 36-ე და 37-ე მუხლებში აღნიშნულისა, მოედნის მფლობელი (კლუბი, კულტურის სახლი, პარკი და ა. შ.), რომელიც იწვევს ამ მოედანზე გამოსვლისათვის სხვა ორგანიზაციის შემსრულებელთა კოლექტივს ამ უკანასკნელთან ხელშეკრულებით, არ იხდის საავტორო ჰონორარს საჯარო შესრულებისათვის ამ კოლექტივის ძალებით. საავტორო ჰონორარს იხდის ის ორგანიზაცია, რომლიდანაც გამოდის კოლექტივი; შემკვეთთან (მოედნის მფლობელთან) ხელშეკრულებით გამართული სპექტაკლის ან კონცერტისათვის გარანტირებული საზღაურის თანხის გამოანგარიშების დროს ეს ორგანიზაცია, გამოსვლის უშუალო ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, მოვალეა გაითვალისწინოს აგრეთვე საავტორო ჰონორარი (და ანარიცხე-

ბი სსრ კავშირის ლიტერატურული და მუსიკალური ფონდებისათვის).

39. ისეთი საჯარო შესრულებისათვის ცენტრალიზებული ანგარიშსწორების დროს, რომელიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე ტარდება, საავტორო ჰონორარი გამოიანგარიშება საჯარო შესრულების ადგილზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

40. საავტორო ჰონორარის ყველა გადამხდელი მოვალეა აწარმოოს შესრულებულ ნაწარმოებთა ზუსტი აღრიცხვა და წარუდგინოს საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების („საუდი“) რწმუნებულებს მათი პირველი მოთხოვნისთანავე ცნობები ფაქტიურად შესრულებულ ნაწარმოებთა სახელწოდების, მათი ავტორების (მათ შორის მუსიკის და ტექსტის ავტორებისა და მთარგმნელების) გვარისა და ინიციალების, აგრეთვე შემოსავლის თანხის (როდესაც შესვლა ფასიანია), გარანტირებული საზღაურის თანხის და შემსრულებლებისათვის დარიცხული გასამრჯელოს (ხელფასის) თანხის (როდესაც შესვლა უფასოა და მუსიკა სრულდება ცეკვებზე) შესახებ.

ცნობები წარდგენილ უნდა იქნას საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმით, რისთვისაც შეივსება საანგარიშსწორებო ფურცლებისა და პატაკების (შესრულების პროგრამების) ბლანკები, რომლებსაც გადამხდელის ადმინისტრაცია უგზავნის „საუდის“ რწმუნებულებს.

ცნობების დროულად წარდგენისათვის, მათი სისწორისა და სისრულისათვის პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება გადამხდელი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, აგრეთვე მოსიარულე შემსრულებელთა კოლექტივების ხელმძღვანელებსა და ადმინისტრატორებს.

41. „საუდის“ რწმუნებული შეამოწმებს საავტორო ჰონორარის გადასახდელი თანხების გაანგარიშებას, რომელიც გადამხდელის ბუღალტერიამ შეადგინა, რის შემდეგ საბოლოოდ გაფორმებულ საანგარიშსწორებო ფურცლებს სამ ცალად ხელს მოაწერენ გადამხდელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და „საუდის“ რწმუნებული, რაც დამოწმდება გადამხდელის ბეჭდის დასმით.

საანგარიშსწორებო ფურცლის ერთი ეგზემპლარი რჩება გადამხდელის ბუღალტერიაში, ორი ეგზემპლარი ხელზე ეძლევა „საუდის“ რწმუნებულს. იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობებს შესრულებული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების შესახებ წარადგენენ პატაკის (შესრულების პროგრამის) სახით, ამ უკანასკნელს ხელს მოაწერს შესრულებული პროგრამისათვის პასუხისმგებელი პირი,

დაეკვრის გადამხდელის ბეჭედი და მიეცემა „საუდის“ რწმუნებულს არა უგვიანეს საანგარიშო ფურცლების მიცემის დროისა.

42. გადამხდელი ვალდებულია მის მიერ საანგარიშსწორებო ფურცლის ხელმოწერის დროიდან ათი დღის ვადაში გადარიცხოს საავტორო ჰონორარის იქ აღნიშნული თანხები საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების — „საუდის“ მიმდინარე ანგარიშზე.

43. საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების — „საუდის“ რწმუნებულებს სამსახურებრივი მოწმობის ან მინდობილობის წარდგენის შემდეგ უფლება ეძლევათ გასინჯონ გადამხდელის ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის ანგარიშებთან.

44. სამსახურებრივი მოწმობის წარდგენის შემდეგ „საუდის“ რწმუნებულს უფლება აქვს თავისუფლად შევიდეს ყველა სანახაობითი საწარმოებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საყურებელ დარბაზებში სამსახურებრივ საქმეებზე, მაგრამ ისე, რომ მათ არ მიეცეთ მუდმივი ადგილები.

## IV. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის გაცემის წესი

45. საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება — „საუდი“ აძლევს ავტორებს ჰონორარს მხოლოდ იმ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რომელთა შესრულება ნებადართულია სათანადო წესით და რომლებიც ავტორების მიერ რეგისტრირებულია „საუდში“.

46. ჰონორარის განაწილებას ავტორებს შორის საკონცერტო, საცირკო და სხვა პროგრამებისათვის, რომლებიც შედგება სხვადასხვა ავტორების რამდენიმე ნაწარმოებისაგან, ახორციელებს საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება — „საუდი“ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

47. უკეთუ დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომელზედაც გასულია საავტორო უფლების მოქმედების ვადა, ვინმემ გადააკეთა, შეავსო ან შეცვალა, საავტორო ჰონორარს ასეთი გადამუშავებული ნაწარმოების შესრულებისათვის გასცემს საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს გან-

ყოფილება მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველი ცალკე სპეციალური ნებართვით.

48. თანამდებობის პირებს (დირექტორი, რეჟისორი, მუსიკალური ნაწილის გამგე, ანსამბლის ხელმძღვანელი და ა. შ.), რომლებზედაც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადამდგმელო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან შემსრულებელთა კოლექტივში, საავტორო ჰონორარი მათი საკუთარი, აგრეთვე მათ მიერ თანაავტორობით იმ ორგანიზაციაში დაწერილ ნაწარმოებთა შესრულებისათვის, სადაც ისინი მსახურობენ, მიეცემათ მხოლოდ ამ ორგანიზაციის მიმართ ზემდგომი ორგანოების სპეციალური ნებართვით.

49. საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება — „საუდი", მისი დებულების შესაბამისად, დაუკავებს თავისი აპარატის შესანახ ანარიცხებს საავტორო ჰონორარის მის მიერ აკრეფილი თანხებიდან.

50. ჰონორარს, რომელიც ამ ინსტრუქციის შესაბამისად (მუხლები 3, 16, 21) რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში უნდა გადაირიცხოს, საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადარიცხავს მე-12 განაყოფის 25 პარაგრაფის მიხედვით კვარტალში ერთხელ, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

### V. ერთდროული გასამრჯელო დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შექმნისათვის ან მათი შექმნის შეკვეთების შესრულებისათვის

**51.** ერთდროული გასამრჯელო ამ დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით გაიცემა ხელშეკრულებით დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა შექმნის შესახებ მათი საჯარო შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულებებით გამოუქვეყნებელი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საჯარო შესრულების (დადგმის) შესახებ.

52. ერთდროული გასამრჯელოს განაკვეთი წესდება ავტორთან დადებული ხელშეკრულებით ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულების, მისი მოცულობისა და მუშაობის სირთულის მიხედვით. მზა ნაწარმოების შეძენის ან ნაწარმოების შეკვეთის დროს შეფარდებულ უნდა იქნას ამ დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების პირველი, მეორე და მესამე კატეგო-

რიები. მეოთხე კატეგორია შეფარდებულ უნდა იქნას საქართველოს
სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების [illegible]
ძველზე ნაწარმოების განხორციელებისა და მის მიერ საზოგადო-
ებრიობის მხრივ მაღალი შეფასების მიღების შემდეგ.

53. დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს უფლება აქვთ დადონ ხელშეკრულებანი ნაწარმოების შეკვეთით შექმნის შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან (ორგანიზაციასთან) და მიიღონ ერთდროული გასამრჯელო მოცემული ნაწარმოებისათვის მხოლოდ ერთხელ ერთ დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში.

54. ის გარემოება, რომ ავტორმა დადო ხელშეკრულება საჯარო შესრულებისათვის ნაწარმოების შექმნის შესახებ ხელს არ უშლის მას დადოს საგამომცემლო ხელშეკრულება ამ ნაწარმოებზე მას შემდეგ, რაც იგი დამთავრდება, და მიიღოს ჰონორარი გამოცემისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

საგამომცემლო ხელშეკრულების დადება ნაწარმოებზე ხელს არ უშლის ავტორს დადოს ხელშეკრულება ამ ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ ერთდროული გასამრჯელოს მიცემით, თუ ნაწარმოები დამთავრებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული; მაგრამ ასეთი ხელშეკრულების დადების დროს ავტორი მოვალეა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, რომ მას დადებული აქვს წერილობითი ხელშეკრულება გამომცემლობასთან და რა ვადაში უნდა ჩააბაროს გამომცემლობას დამთავრებული ხელნაწერი. თუ ავტორს ასეთი ცნობა არ მიუწოდებია და წიგნი გამოვიდა იმ დრომდე, რაც ნაწარმოები სცენაზე იყო დადგმული, ან იმ დრომდე, როდესაც გავიდა მისი დადგმის კანონით ან ხელშეკრულებით დაწესებული ვადა, იმ ორგანიზაციას, რომელმაც ავტორთან დადო ხელშეკრულება ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ, უფლება აქვს მოთხოვოს ავტორს მის მიერ მიღებული ერთდროული გასამრჯელოს დაბრუნება. პრესაში გამოქვეყნებული ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის ავტორს უფლება არა აქვს მოითხოვოს ერთდროული გასამრჯელო დადგმის უფლებისათვის.

55. დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებმაც ავტორთან დასდეს ხელშეკრულება ნაწარმოების შექმნის ან გამოუქვეყნებელი ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ და მისცეს ავტორს ერთდროული გასამრჯელო, უფლება აქვთ გადასცენ მათ მიერ მიღებული ნაწარმოები ფართო საჯარო შესრულებისათვის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, შეასრულონ იგი რადიოთი და ტელევი-

ზიით, აგრეთვე გაგზავნონ იგი საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს გავრცელების განყოფილებაში ისე, რომ ავტორს არ მიეცეს არავითარი დამატებითი ერთდროული გასამრჯელო დადგმის უფლებისათვის.

საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს გავრცელების განყოფილების მიერ დრამატულ და საესტრადო ნაწარმოებთა გამრავლება, რაც ავტორის თანხმობით ხორციელდება, გამოცემად არ ითვლება.

56. არ დაიშვება ერთდროული გასამრჯელოს მიცემა ხელშეკრულებით, როდესაც ადგილი აქვს გამოქვეყნებული ნაწარმოების გადაკეთებას მოცემული თეატრის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი ხელშეკრულებით თეატრს შეუძლია მხოლოდ მისცეს ავტორს ავანსი მომავალი საპროცენტო ანარიცხების ანგარიშში, 5 სპექტაკლის ჰონორარის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებული იქნება სპექტაკლისათვის თეატრის საშუალო-წლიური გეგმური შემოსავლის მიხედვით. თუ თეატრი დადგმაზე უარს იტყვის, ეს ავანსი ავტორს რჩება.

პროცენტული ანარიცხების ანგარიშში ავანსი შეიძლება მიცეს ავტორს ზემოაღნიშნული წესით აგრეთვე გამოუცემელი, მაგრამ უკვე ერთდროულად ანაზღაურებული ნაწარმოების დადგმის შესახებ დადებული ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, როდესაც თეატრს სურს შეინარჩუნოს მოცემულ ქალაქში ამ ნაწარმოების პირველად დადგმის უფლება.

57. იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა ძირეულად გადაამუშავა თავისი გამოქვეყნებული ნაწარმოები, შესაძლებელია განმეორებით მიეცეს ავტორს ერთდროული გასამრჯელოს 75 პროცენტამდე: მუსიკალური ნაწარმოებებისათვის — საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის დასკვნით, ყველა სხვა ნაწარმოებისათვის — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის დასკვნით იმ ანგარიშით, რომ ეს დასკვნები აუცილებლად დაამტკიცოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ.

58. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა იმ გამოქვეყნებული ნაწარმოების გადამუშავება, რომლებიც დაწერილია ესტრადისა და ცირკისათვის აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე, ავტორებს შეიძლება მიეცეთ ჰონორარი ხელშეკრულებებით ერთდროული გასამრჯელოს შესაბამისი განაკვეთების 50 პროცენტის ფარგლებში.

59. ოპერებისა და ოპერეტების ლიბრეტოს თარგმნისათვის ერთდროული გასამრჯელო გაიცემა იმ განაკვეთების მიხედვით,

რომლებიც გათვალისწინებულია გალექსილი პიესების თარგმნი-სათვის.

60. ესტრადისა და ცირკისათვის ნაწარმოებთა ერთდროული გასამრჯელოს განაკვეთები (№ 2 დანართის განაყოფი 4) შეფარდე-ბულ უნდა იქნას შემდეგნაირად:

1. ერთდროული გასამრჯელო მუსიკის აკომპანემენტით შესრუ-ლებული სიმღერებისათვის გაიცემა № 2 დანართის II განაყოფის 27-ე მუხლის შესაბამისად;

2. ორნაწილიანი მუსიკა კუპლეტებისათვის ანაზღაურდება როგორც სიმღერა;

3. 6 და მეტი სტრიქონის მოცულობის კუპლეტები ანაზღაურ-დება როგორც ორი ოთხტაეპიანი ლექსი, დამოუკიდებლად კუპ-ლეტების მოცულობისა.

4. საესტრადო ნომრების ლიტერატურული გაფორმებისათ-ვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება ორიგინალური ჟანრის ნომრებს;

5. მოკლე დიალოგისათვის (ინტერმედიისათვის) გათვალისწინე-ბული განაკვეთები შეუფარდდება ადგილობრივ თემებზე დაწერილ ინტერმედიებს, აგრეთვე ისეთ ინტერმედიებს, რომლებსაც აქვთ ნომრის დაკავშირების ან შესავალის ხასიათი;

6. საკლოუნო ანტრესათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება აგრეთვე ანტრეს, რომელიც დაწერილია მუსიკალუ-რი ექსცენტრიკებისათვის;

7. ცალკე რეპრიზისათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება რეპრიზებს, რომლებიც დაწერილია კლოუნებისა, კოვერნებისა და კონფერანსიებისათვის.

61. თანამდებობის პირებთან, რომლებზედაც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადამდგმელო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა მოცემულ თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან სა-შემსრულებლო კოლექტივში, ხელშეკრულებანი, რომლებიც ით-ვალისწინებენ ერთდროული გასამრჯელოს გაცემას, შეიძლება და-იდოს მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში ზემდგომი ორგანიზა-ციის სპეციალური ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთები

62. მელოდიების თავისუფალი დამუშავება (დამუშავების ორიგინალური მუსიკალური ფაქტურა) ანაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა განაკვეთების 75—100 პროცენტის ოდენობით.

63. დამუშავებანი, რომლებსაც ორიგინალური ნაწარმოების მუსიკალურ ფაქტურაში შეაქვთ ახალი შემოქმედებითი ელემენტები, ანაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა განაკვეთების 50—75 პროცენტის ოდენობით.

64. ორიგინალური ნაწარმოების ფაქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ შეუგუოს დამუშავება სხვა სახის შესრულებას, ანაზღაურდება როგორც გადმოღება.

65. გადმოღება (მზა საავტორო მასალის გამოყენება სხვა სახის შესრულებისათვის, კლავირი და ა. შ.) ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) გადმოღება, რომელსაც რთული მუსიკალური ფაქტურა აქვს, — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთების 20—40 პროცენტის ოდენობით;

ბ) უმარტივესი სახის გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთების 5—15 პროცენტის ოდენობით;

გ) დირექციონების შედგენა — 4 მანეთამდე ტაქტში.

საორკესტრო ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების №№ 2 და 3 დანართებით, შედის დაორკესტრების საზღაური. თუ დაორკესტრებას ეწევა მუსიკის არა თვით ავტორი, მეორკესტრის მუშაობის ანაზღაურება წარმოებს ავტორის ჰონორარის ანგარიშში.

დაორკესტრება ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) რთული სახის დაორკესტრება (სიმფონიური ორკესტრებისათვის, ხალხური და სასულე ინსტრუმენტებისათვის და სხვა სახის რთული დაორკესტრებისათვის) 4—6 მანეთი ტაქტში;

ბ) მარტივი სახის დაორკესტრება 2—4 მანეთი ტაქტში.

67. დამუშავება და გადმოღება ანაზღაურდება იმ განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია იმ სახის ნაწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

68. დამუშავებული ან გადმოღებული თხზულების ავტორს ჰონორარი მიეცემა ტირაჟის ნორმების და იმ მინიმალური განაკვეთე-

ბის 10 პროცენტის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია ერთი სახის ნაწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

69. ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა ჩანაწერები ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) მარტივი მელოდიური აღნაგობის ერთხმოვანი კუპლეტები — მელოდიები — 50 მან. ჩანაწერში

ბ) რთული პერიოდული და რიტმული აღნაგობის ერთხმოვანი მელოდიები და მარტივი რიტმული აღნაგობის ორხმოვანი მელოდიები — 50—125 მან. ჩანაწერში

გ) რთული პერიოდული და რიტმული აღნაგობის ორხმოვანი მელოდიები — 75—150 მან. ჩანაწერში

დ) სამხმოვანი და მრავალხმოვანი მელოდიები — 100—175 მან. ჩანაწერში

ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა ჩანაწერი ანაზღაურდება იმ განაკვეთებით, რომლებიც დაწესებულია ვოკალური ჩანაწერების შესაბამისი განაყოფებით, — ხმების რიცხვისა და ფაქტური სირთულის მიხედვით.

70. მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულების შედგენა ანაზღაურდება არა უმეტეს 100 მანეთისა კრებულში შეტანილი თვითეული ნაწარმოებისათვის.

71. გადმოღება, დირექციონები და დაორკესტრება, აგრეთვე ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა ჩანაწერები (დაუმუშავებლად) ანაზღაურდება ტირაჟის დამოუკიდებლად და ხელახლა გამოცემის დროს არ ანაზღაურდება.

კრებულების შედგენა ანაზღაურდება ტირაჟის დამოუკიდებლად, ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა კრებულების ხელახალი გამოცემა ანაზღაურდება იმ პირობით, თუ შემდგენელმა დამოუკიდებლად დაამუშავა კრებულში შეტანილი ნაწარმოებები.

72. მუსიკალურ ნაწარმოებთა რეცენზირება და რედაქტირება ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) რეცენზია მცირე მოცულობის (200 ტაქტამდე) მუსიკალური ნაწარმოებისა — 50—100 მან. სარეცენზიო ნაწარმოებისათვის

ბ) რეცენზია 200 ტაქტზე მეტი ნაწარმოებისა ან მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულისა — 500 მანეთამდე შეთანხმებით

გ) რედაქტირება: მუსიკალური ნაწარმოებებისა — 30 კაპ. — 1 მან. 50 კაპ. ტაქტში

ნათარგმნი სასიმღერო ლიტერატურის ტექსტი (ეკვირიტმული თარგმანის ქვეტექსტის და ორიგინალური ტექსტის კორექტურის ჩათვლით) 1—3 მან. სტრიქონში.

73. ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი სახეობის ნაწარმოები პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ დადგენილების № 3 დანართით, შეფარდებული იქნება ჰონორარის განაკვეთები და ტირაჟები, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე დებულებით შესაბამისი სახის მუსიკალური ნაწარმოებებისათვის: მაგალითად, სიმფონია სასულე ორკესტრისათვის ანაზღაურდება № 3 დანართის მე-5 მუხლის მიხედვით, მარშები სასულე ორკესტრისათვის, რომლებსაც საკონცერტო გაშლილი ხასიათი აქვთ, — იმავე დანართის მე-9 მუხლის მიხედვით; გუნდური მრავალნაწილიანი ნაწარმოებები ორკესტრის აკომპანემენტით ანაზღაურდება № 3 დანართის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

74. ამ ინსტრუქციის № 3 დანართის 25-ე მუხლის და 26-ე მუხლის მე-2 შენიშვნის მოქმედება ვრცელდება იმ კრებულებზე, რომლებშიაც სიტყვიერი ტექსტი ჭარბობს. ისეთი კრებულების შედგენის დროს, რომლებშიაც მუსიკალური მასალა ჭარბობს, შეფარდებული იქნება ამ ინსტრუქციის 70-ე მუხლი.

## VII. წესი თანხების გადარიცხვისა სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში

75. ყველა სანახაობითმა საწარმომ, კლუბმა, საკონცერტო-საესტრადო ორგანიზაციამ და ა. შ. საავტორო ჰონორართან ერთად უნდა აძლიონ საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილებას—„საუდს“ ანარიცხები სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით.

### ლიტერატურულ ფონდში:

ა) გამომცემლობები და ჟურნალების რედაქციები ორიგინალური და ნათარგმნი სამხატვრო ნაწარმოებებისათვის (ლექსები, პროზა, დრამატული ნაწარმოებები, მოზარდთა და საბავშვო ლიტერატურა, პოპულარული სანარკვევო, ლიტერატურათმცოდნეობის და კრიტიკული ნაწარმოებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე) — ფაქტიურად გაცემული საავტორო ჰონორარის მთელი თანხის ათი (10) პროცენტის რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თეატრები (სტაციონარული და მოძრავი), დრამატული (დრამა, კომედია და სხვ.), მოზარდმაყურებელთა, თოჯინების, რაიონული თეატრები და თეატრი-მინიატურები — საერთო შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) ორი (2) პროცენტის ოდენობით;

გ) ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში (კლუბები, კულტურის სახლები, კულტურისა და დასვენების პარკები, საზაფხულო ბაღები და სხვ.) თვითმოქმედი წრეების სპექტაკლებისათვის — საერთო შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) თანხის ნახევარი (0,5) პროცენტის ოდენობით.

### მუსიკალურ ფონდში:

ოპერისა და ბალეტის, ოპერეტის (მუსიკალური კომედიის) სტაციონარული და მოძრავი თეატრები, ესტრადები ყველა საკონცერტო და საკონცერტო-საესტრადო, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც აწყობენ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სპექტაკლებსა და კონცერტებს — საერთო შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) თანხის ერთნახევარ (1,5) პროცენტს.

ლიტერატურულ ფონდსა და მუსიკალურ ფონდში ანარიცხები იწარმოებს მიუხედავად იმისა, იცავს თუ არა საავტორო უფლება ამა თუ იმ ნაწარმოებს.

76. ლიტერატურულ ფონდსა და მუსიკალურ ფონდში თანხების გადარიცხვასთან ერთად, გამომცემლობები და სანახაობათა საწარმოები მოვალენი არიან წარუდგინონ საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების რწმუნებულებს ცნობები დაწესებული ფორმების მიხედვით ყოველთვიურად, აგრეთვე წარუდგინონ მათ ყოველგვარი დოკუმენტები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად და დროულად იყო გადახდილი შენატანები.

**13 კონცერტების, საესტრადო წარმოდგენების და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების ბილეთების ღირებულების დამტკიცების წესის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 იანვრის № 17 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საკონცერტო და საესტრადო წარმოდგენების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების ბილეთების ღირებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პროექტით, რომელიც შეთანხმებული იქნება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ქუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 12 თებერვალი, № 88

**14 საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს დაამტკიცონ შესაბამისი დებულებანი ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროებისა და ადგილობრივი მეურნეობის საოლქო განყოფილების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 ნოემბრის № 1741 დადგენილებით და დებულება საქართველოს სსრ კომუნა-

ლური მეურნეობის სამინისტროს შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის № 106 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 20 თებერვალი, № 111

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 20 თებერვლის № 111
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს შესახებ

I

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 და 58 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს მისთვის მინიჭებული უფლებების და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის

და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მეურნეობის მინისტრებისათვის, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მეურნეობის მმართველობის ორგანოებისათვის და სამინისტროს სისტემის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი შეაჩერებს და გააუქმებს ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მეურნეობის მინისტრების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მეურნეობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა (რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების) ხელმძღვანელების ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი დანიშნავს და დაითხოვს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად; დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნას (გარდა ასსრ, ავტონომიური ოლქის და თბილისის საქალაქო აღმასკომის დაქვემდებარებისა).

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება მინისტრის თავმჯდომარეობით კოლეგია, რომელიც განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების

საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა და ხელმძღვანელი მასალების პროექტებს, ანგარიშებს, სამინისტროს, აგრეთვე სისტემის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სტრუქტურული ქვეგანაყოფების მუშაობის შესახებ.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მინისტრის წარდგენით. კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის აზრთა სხვაობის შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავიანთი მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან იმყოფებიან: სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო და გამომგონებლობის ბიურო, რომელთა პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი; უწყებრივი არბიტრაჟი, რომელიც მოქმედებს მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

